# ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამების მიხედვით

კვლევის ანგარიში

თბილისი

2014

**კვლევა მომზადდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობებისცენტრისმიერაღმოსავლეთ-დასავლეთისმართვისინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) ფარგლებში. კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.**

**The research is implemented by the Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR) in the framework of The East-West Management Institute's (EWMI) Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC) Program, funded by United States Agency for International Development (USAID). The study is made possible by the generous support of the American people through the USAID.**

კვლევის დოკუმენტი შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან EWMI-ის შეხედულებებს.

The content is the responsibility of Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations and do not necessarily reflect the view of USAID, the United States Government, or EWMI.

**ISBN: 978-9941-0-6995-6**

**© სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი**

# სარჩევი

**თავი პირველი:**
შესავალი/ მულტიკულტურალიზმი და
საქართველოს განათლების სისტემა ........................................................ 4

**თავი მეორე:**
კვლევის მეთოდოლოგია ........................................................................... 18

**თავი მესამე:**
მასწავლებელთა განათლების პროგრამების ანალიზი .................................. 31

**თავი მეოთხე:**
სტუდენტთა ინტერკულტურული მგრძნობელობის
კვლევა გამოკითხვის საშუალებით ........................................................45

**თავი მეხუთე:**
მოქმედი მასწავლებლების პროგრამების ანალიზი ........................................87

**თავი მეექვსე:**
რეკომენდაციები პოლიტიკის გასაუმჯობესებლად ......................................... 91

გამოყენებული ლიტერატურა ...........................................................................97

ცხრილები და დიაგრამები ..............................................................................98

დანართი .................................................................................................. 103

# თავი პირველი.
# შესავალი

## მულტიკულტურალიზმი და საქართველოს განათლების სისტემა.

ინტერკულტურული განათლება უმნიშვნელოვანესია 21-ე საუკუნეში. ინტერკულტურული მგრძნობელობა არ არის ადამიანური ცხოვრების „ბუნებრივი" პროცესი. კულტურათაშორის კონტაქტს ისტორიულად თან სდევდა სისხლისღვრა, რეპრესიები, ეთნიკური წმენდა და გენოციდი. ინტერკულტურული განათლება ის ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც შეიძლება შეიცვალოს ადამიანთა კულტურათშორისი ურთიერთობების ზემოთ მითითებული უარყოფითი „ბუნებრივი" ქმედება (ტაბატაძე..., 2010).

საქართველო ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მისი მოსახლეობის 15,8 %-ს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ. ქართველების შემდეგ ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6,5%), რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლე-ბულნი ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ: მარნეულში, გარდაბანში, დმანისში, წალკაში, თეთრიწყაროში, რუსთავში და ა.შ. მეორე დიდ ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნებიან სომხები (5,7%), ისინი ძირითადად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სახლობენ კომპაქტურად, კერძოდ, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში, სადაც მათი რაოდენობა აჭარბებს 95%-ს და ახალციხეში, სადაც სომხური მოსახლეობის წილი 36%-ს შეადგენს. აზერბაიჯანული და სომხური დასახლებები გვხვდება თბილისშიც სხვადასხვა მცირე ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად. კომპაქტური განსახლების გარდა, საქართველოში ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფები, როგორებიც არიან: რუსები, ბერძნები, უკრაინელები, პოლონელები, ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ასირიელები, აგრეთვე ქისტები, ჩეჩნები, ლეკები, უდები, ყაბარდოელები, ჩერქეზები და სხვ., რომლებიც დისპერსულად არიან განსახლებული თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად, საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნებაც ახასიათებს, რადგან ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენენ სხვადახვა ლინგვისტურ ჯგუფს. ქართული (აგრეთვე მეგრულ-ლაზური და სვანური) მიეკუთნება ქართველურ ენათა ოჯახს. ინდოევროპული ენების სხვადასხვა ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოში არსებული ენები, კერძოდ, რუსული _ სლავურ ჯგუფს, სომხურსა და ბერძნულს აქვთ საკუთარი ჯგუფი ინდოევროპულ ენათა ოჯახში, ოსური მიეკუთვნება ირანულ ენათა ჯგუფს. აზერბაიჯანული _ თურქულ ენობრივ ჯგუფს ალათაურ ენათა ოჯახში. საქართველოში არიან აგრეთვე ჩრდილო-კავკასიურ ენათა წარმომადგენლები: ქისტები, ჩეჩნები, ლეკები, უდები, ყაბარდოელები, ჩერქეზები და სხვა. საქართველოში წარმოდგენილია მსოფლიოში უნიკალური და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ისეთი ენები, როგორიცაა ბაცბური და უდური (ტაბატაძე და სხვები, 2008).

საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება ასახულია საქართველოს განათლების სისტემაშიც. ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით 72 ათასი ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეა, რომელთაგან 67 953 მოსწავლე, ანუ, დაახლოებით 94%, არაქართულენოვან სკოლებში (წმინდა ან შერეულ ენობრივ სექტორებში) სწავლობს.

**ცხრილი 1. არაქართულენოვან მოსწავლეთა გადანაწილება სკოლებში სწავლების ენის მიხედვით**

| სწავლების ენა | მოსწავლეების რაოდენობა |
|---|---|
| აზერბაიჯანული | 27 442 |
| სომხური | 15 592 |
| რუსული | 24 512 |
| ოსური | 165 |
| სხვა | 242 |

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2009 (EMIS).

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში 213 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 77 არაქართულენოვანი სექტორი ფუნქციონირებს:

**ცხრილი 2. არაქართულენოვანი საჯარო სკოლები რეგიონების მიხედვით, 2013**

| რეგიონი | აზერბაიჯანული | რუსული | სომხური | სულ |
|---|---|---|---|---|
| **აჭარა** | | | | 0 |
| **თბილისი** | 1 | 2 | 1 | 4 |
| **იმერეთი** | | | | 0 |
| **კახეთი** | 4 | 1 | | 5 |
| **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | | | | 0 |
| **სამცხე-ჯავახეთი** | | 4 | 96 | 100 |
| **ქვემო ქართლი** | 80 | 4 | 20 | 104 |
| **სულ** | **85** | **11** | **117** | **213** |

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013.

ანალოგიური ვითარებაა მასწავლებლებთან მიმართებითაც. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა 95%-ზე მეტი მოსახლეობის კომპაქტურად განსახლების ადგილებში ეთნიკურად არაქართველია და პირიქით, ქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია (ტაბატაძე, 2010).

შესაბამისად, მნიშვნელოვანი, როგორც ქართულ, ასევე არაქართულენოვან სკოლებში ინტერკულტურული განათლების პრინციპების გატარებაა, რათა სკოლამ უზრუნველყოს საქართველოს განათლების ეროვნული მიზნებითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უნარებისა და კომპეტენციების განვითარება მოსწავლეებში.

ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად საქართველოს მოსახლეობა არაერთ რელიგიას მისდევს. მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, თუმცა ფართოდ არის წარმოდგენილი სხვადასხვა რელიგიური კონფესიაც.

ეთნიკური ქართველების უმრავლესობა მართლმადიდებელია. მართლმადიდებლები არიან ოსების, რუსების, ბერძნების, აფხაზების, ასურელებისა და უდების უმეტესი ნაწილი, ასევე, სომხების გარკვეული რაოდენობა, რომელთა დიდი უმრავლესობა სომეხთა სამოციქულო ეკლესიას მიაკუთვნებს თავს.

როგორც ქართველების, ისე აღნიშნულ ეთნიკურ ჯგუფთა უმცირესობა კათოლიკე ან პროტესტანტია. კათოლიკური ეკლესიის მრევლი ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა (ქართველები, სომხები, ასურელები, პოლონელები, გერმანელები, რუსები და სხვ.).

საქართველოს მოსახლეობის როგორც ეთნიკურად ქართველი (აჭარლების ნაწილი), ისე სხვა ეთნიკური ჯგუფების (აზერბაიჯანელები, ქისტები, ლეკები, აფხაზები) საგრძნობი რაოდენობა ისლამს აღიარებს.

ქურთების ნაწილი იეზიდია, ნაწილი ქრისტიანი და ნაწილიც მუსლიმი.

საქართველოს ებრაელები იუდაიზმს მისდევენ;

გერმანელები ლუთერანული ეკლესიის წევრები არიან, თუმცა, კათოლიკეებიც გვხვდებიან.

საქართველოს მასშტაბით (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით) მოქმედი რელიგიური გაერთიანებების სტატისტიკური გამოკვლევა პირველად „თავისუფლების ინსტიტუტის“ დავალებით ჩატარდა: 2002 წლის გაზაფხულზე რელიგიურ გაერთიანებათა ხელმძღვანელი პირებისაგან მოპოვებული იქნა ინფორმაცია წევრთა რაოდენობის შესახებ. შესაბამისი მაჩვენებლების შეფარდებამ 2002 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად დადგენილ რაოდენობასთან (4. 452. 100) ასეთი სურათი აჩვენა:

**ცხრილი 3. საქართველოს მოსახლეობის გადანაწილება რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით**

| № დასახელება | რიცხვი | მოსახლეობის % |
|---|---|---|
| 1. სომხური სამოციქულო ეკლესია | 200 000 | 4.0 |
| 2. კათოლიკე | 50 000 | 1 |
| 3. ლუთერანი | 700 | 0,01 |
| 4. ბაპტისტი | 6000 | 0,1 |
| 5. ორმოცდაათიანელი | 5000 | 0,1 |
| 6. დუხობორი | 1500 | 0,03 |
| 7. მალაკანი | 2000 | 0,04 |
| 8. მე-7 დღის ადვენტისტი | 400 | 0,005 |

| № დასახელება | რიცხვი | მოსახლეობის % |
|---|---|---|
| 9. იეჰოვას მოწმე | 15 000 | 0,3 |
| 10. ხსნის არმია | 800 | 0,02 |
| 11. ახალსამოციქულო ეკლესია | 700 | 0,01 |
| 12. სხვადასხვა დასახელების ჯგუფები | მაქს. 300 | 0,005 |
| 13. იუდეველი | 10 000 | 0,2 |
| 14. მუსლიმი | 500 000 | 11,2 |
| 15. იეზიდი | 30 000 | 0,7 |
| 16. კრიშნაიტი | 200 | 0,005 |
| 17. ბაჰაიტი | 500 | 0,01 |
| **სულ** | **823 100** | |

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მონიტორინგის ანგარიში, 2011.

2002 წლის გაზაფხულზე არამართლმადიდებლების საერთო რიცხვი 823 100 კაცს, ანუ, მოსახლეობის 18,5%-ს შეადგენდა. 2002 წელს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსახლეობა რელიგიურობის ნიშნით აღწერა. მისი შედეგები 2004 წელს გახდა ცნობილი. გაირკვა: საქართველოს იმ ტერიტორიის მოსახლეობა, რომელსაც მაშინ ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა, 4.375.535 სულს ითვლიდა; მართლმადიდებლად თავს 3.666.233 ანუ 83, 9% მიიჩნევდა, კათოლიკედ _ 34.727 ანუ 0,8%, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის წევრად _ 171.139 ანუ 3,9%, იუდეველად _ 3541 ანუ 0,1%, მაჰმადიანად _ 433.784 ანუ 9,9%, სხვა რელიგიური რწმენის აღმსარებლად _ 28.631, ანუ 0,6%, ხოლო 33.480, ანუ 0,8% არც ერთი რელიგიის მიმდევარი არ იყო. ამრიგად, არამართლმადიდებლების საერთო რაოდენობა, ათეისტების, ნიჰილისტებისა და აგნოსტიკოსების ჩათვლით, უკანასკნელი ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 705.302-ს შეადგენს, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 16,1 პროცენტია.

განსხვავებული რელიგიის მიმდევართა განსახლებაც, ძირითადად, კომპაქტურია და, შესაბამისად, სკოლებშიც კომპაქტური განსახლებების მიხედვით არიან გადანაწილებულნი. განსხვავებული ვითარებაა აჭარის რეგიონში, სადაც რელიგიური მრავალფეროვნებაა როგორც

მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში, მეტიც, რელიგური მრწამსით განსხვავდებიან ერთი ოჯახის წევრებიც.

საქართველოს საჯარო სკოლებში 3.381 მოსწავლე სწავლობს, რომელიც ოფიციალურად არის რეგისტრირებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, როგორც სპეციალური საჭიროების მქონე და მათზე სახელმწიფო გამოყოფს დამატებით დაფინანსებას სკოლებისთვის (CCIIR კვლევა, 2014).

თუმცა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა რიცხვი გაცილებით მეტია რეალურად რეგისტრირებულ მოსწავლეთა რაოდენობაზე, რასაც სხვადასხვა კვლევა ადასტურებს. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით ამ მოსწავლეთა რაოდენობა 10.000 მოსწავლეს აჭარბებს (UNICEF, 2012). იმავე ორგანიზაციის 2005 წელს ჩატარებული კვლევის შესაბამისად, კი 2-9 წლამდე მოსწავლეების 14%-ს აღენიშნება სხვადასხვა ფორმისა და სიმძიმის ფიზიკური, გონებრივი, სწავლისა თუ კითხვის შესაძლებლობების შეზღუდვა, რაც რაოდენობრივად 40.000 ბავშვს შეადგენს(UNICEF, 2005, http://unicef.ge/10/Children-with-disabilities/9).

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში არიან უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეები. ამ მოსწავლეთა ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ხელმიუწვდომელია, თუმცა ცნობილია, რომ სახელმწიფო საკუთარი ბიუჯეტიდან აფინანსებს ამ კატეგორიის 397 მოქალაქეს ვაუჩერული დაფინანსების სისტემის ფარგლებში (CCIIR კვლევა, 2014).

საქართველოს სკოლები განთავსებულია თბილისსა და 11 სხვადასხვა რეგიონში. შესაბამისად, სკოლები განსხვავდებიან გეოგრაფიული მდებარეობით. საქართველოში სკოლები იყოფა ქალაქის, სოფლის და მაღალმთიანი დასახლების სკოლებად. გეოგრაფიული განსახლების და მათში მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით სკოლები შემდეგნაირად ნაწილდება:

**ცხრილი 4. სკოლები გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით (ცხრილი შედგენილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ბაზის მიხედვით)**

| გეოგრაფიული მდებარეობა | საჯარო სკოლების რაოდენობა | მოსწავლეთა რაოდენობა | მასწავლებლების რაოდენობა | მოსწავლე-მასწავლებლის შეფარდება |
|---|---|---|---|---|
| სოფელი | 1021 | 159826 | 25560 | 1/6,3 |
| ქალაქი | 470 | 290470 | 22344 | 1/13 |
| მთა | 591 | 50550 | 12120 | 1/4,1 |
| **სულ** | **2082** | **500846** | **60024** | **1/8.5** |

რეგიონების მიხედვით სკოლების და სკოლებში მოსწავლეთა სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

**ცხრილი 5. მოსწავლეთა და სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი | საჯარო სკოლები | მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| თბილისი | **174** | **142992** |
| აფხაზეთი | **15** | **2267** |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | **241** | **41,550** |
| აჭარა | **229** | **47079** |
| გურია | **97** | **13,981** |
| იმერეთი | **371** | **70,740** |
| კახეთი | **185** | **42,739** |
| მცხეთა-თიანეთი | **83** | **11,331** |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | **67** | **3553** |
| სამცხე-ჯავახეთი | **204** | **25176** |
| ქვემო ქართლი | **253** | **63,115** |
| შიდა ქართლი | **163** | **36323** |
| სულ: | **2082** | **500 846** |

საქართველოში სოციალური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით განსხვავებული შესაძლებლობების მოსწავლეები სწავლობენ საქართველოს საჯარო სკოლებში. მოსწავლეთა ოჯახების ნაწილი სიღარიბის ზღვარს

ქვემოთაა, რაც მნიშვნელოვნად აისახება სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სწავლაზე. 2008 წლის მონაცემებით, ყველაზე ღარიბი რეგიონები ქვემო ქართლი, აჭარა, მცხეთა-თიანეთი და კახეთია, სადაც სიღარიბის მაჩვენებელი 50 %-ზე მაღალია. საქართველოს ღარიბი მოსახლეობის 40% სწორედ აღნიშნულ რეგიონებში ცხოვრობს. შედარებით დაბალი სიღარიბის დონის მქონე რეგიონებია თბილისი (30.2%), იმერეთი (31.4%) და სამცხე-ჯავახეთი (32.6%). 2008 წლისთვის ყველაზე მდიდარი რეგიონის _ თბილისის ფულადი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე ღარიბი რეგიონების ფულად შემოსავალს 2.5-ჯერ აღემატებოდა. თუმცა, ღარიბი მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი (20%) სწორედ საქართველოს დედაქალაქში ცხოვრობს. საქართველოში დიდია უმუშევართა რაოდენობაც. საქართველოში დაუსაქმებელთა რაოდენობამ 2008 წელს შეადგინა 297.6 ათასი ადამიანი.

**ცხრილი 6. სიღარიბის დონის და ღარიბთა განაწილება რეგიონების მიხედვით (ოფიციალური მინიმუმის მიმართ)**

**სიღარიბის დონე ღარიბთა განაწილება**

| რეგიონი | 2005 | 2008 | ცვლილებები | 2005 | 2008 | ცვლილებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კახეთი | 45,0 | 50,2 | 5,2 | 10,5 | 11,9 | 1,4 |
| 2. თბილისი | 29,8 | 30,2 | 0,4 | 18,8 | 20,1 | 1,3 |
| 3. შიდა ქართლი | 40,6 | 47,2 | 6,6 | 7,4 | 7,6 | 0,3 |
| 4. ქვემო ქართლი | 66,0 | 52,5 | -13,5 | 18,4 | 13,1 | -5,3 |
| 5. სამცხე-ჯავახეთი | 47,1 | 32,6 | -14,5 | 5,4 | 3,5 | -1,9 |
| 6. აჭარა | 48,1 | 52,5 | 4,4 | 11,2 | 11,9 | 0,7 |
| 7. გურია | 34,7 | 47,8 | 13,1 | 2,8 | 4,0 | 1,1 |
| 8.სამეგრელო | 41,7 | 41,1 | -0,6 | 9,8 | 10,1 | 0,3 |
| 9.იმერეთი | 26,1 | 31,4 | 5,3 | 12,5 | 14,7 | 2,2 |
| 10.მცხეთა-თიანეთი | 46,9 | 52,2 | 5,3 | 3,3 | 3,0 | -0,3 |
| სულ: | 39,5 | 39,9 | 0,4 | 100 | 100 | 0 |

საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო კომისია (CEGSTAR), 2009.

სიღარიბის მაჩვენებელი რეგიონის მიხედვით თითქმის თანხვდება, მაგალითად, რეგიონების მიხედვით მოსწავლეების მიერ სკოლის მიტოვების მაჩვენებლებს.

**დიაგრამა 1. რეგიონების მიხედვით მოსწავლეების მიერ სკოლის მიტოვების მაჩვენებელი. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2007 (EMIS)**




საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2007 (EMIS)

შესაბამისად, სწორედ საქართველოში არსებული მრავალფეროვნების კონტექსტში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მულტიკულტურული განათლების თვალსაზრისით ზოგადი განათლების სისტემაში არსებული ვითარების კვლევასა და ანალიზს და საკითხის შესწავლის შესაბამისად, ადეკვატური საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას.

## 1.2. ინტერკულტურული განათლება საქართველოს საგანმანათლებლო კანონმდებლობაში.

საქართველოს კონსტიტუციის 35.1 მუხლი იცავს ყველა მოქალაქის უფლებას, მიიღოს განათლება და აირჩიოს განათლების ფორმა. “ზოგადი განათლების შესახებ” კანონი ადასტურებს განათლების მიღების უფლებას (მუხლი 9) და მის “თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის” (მუხლი 3.2.ა).

“ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მეოთხე მუხლით განსაზღვრულია: „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქართული ან აფხაზური.” ამავე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, “საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ, მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით”. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ორივე სახელმწიფო ენისა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე.

ყველა აკრედიტებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც საჯარო, ისე კერძო, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ყოველ მოსწავლეზე გამოყოფილი ვაუჩერით, რომელიც ძალაშია 12-წლიანი სასკოლო განათლების განმავლობაში (მუხლი 22). ზოგადი განათლების შესახებ კანონის 23-ე მუხლი ითვალისწინებს დაფინანსების გახანგრძლივებას იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც 12 წლის სწავლის შემდეგ ვერ დაძლიეს სასკოლო გეგმით დადგენილი ნორმები.

“ზოგადი განათლების შესახებ” კანონის 4.4 მუხლის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოურ ენაზე სწავლების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ამას ითვალისწინებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები. თუმცა ამ შემთხვევაშიც სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება. 5.4 მუხლის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ქართული ენის გარდა, უნდა მოხდეს ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება ქართულ ენაზე.

“ზოგადი განათლების შესახებ” კანონის მე-7 მუხლი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს და ამისათვის უზრუნველყოფს

გაზრდილ ვაუჩერს ან/და დამატებით დაფინანსებას, რომელიც უნდა დამტკიცდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში. ამ უფლების განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ ენობრივი უმცირესობის სკოლის ან კლასის ფარგლებში არსებობდეს, სულ მცირე, 3 მოსწავლე დაწყებით საფეხურზე, 6 მოსწავლე საბაზო საფეხურზე და 21 მოსწავლე საშუალო საფეხურზე (მუხლი 7).

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 27 სექტემბრის N249 დადგენილების „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პირველი მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სკოლის არაქართულენოვანი სექტორებისთვის გაზრდილი ვაუჩერი მიიღება... დადგენილი ვაუჩერის 1.14 კოეფიციენტზე გამრავლებით, ხოლო არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის გაზრდილი ვაუჩერი მიიღება დადგენილი ვაუჩერის 1.13 კოეფიციენტზე გამრავლებით... შესაბამისად, არაქართულენოვანი სკოლები და სექტორები იღებენ გაზრდილ ვაუჩერს ქართულენოვანი სკოლებისგან განსხვავებით, რათა მოახერხონ სწავლების ენასთან და მშობლიური ენის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება და დაფინანსება.

ზოგადი განათლების კანონი იცავს ყველა მოსწავლეს ყოველგვარი ძალადობისაგან და აძლევს მშობლიურ ენაზე გამოხატვის თავისუფლებას. კერძოდ, კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: "დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება." ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

იმავე მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნულია: "სკოლა ვალდებულია, დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა".

მე-7 პუნქტის შესაბამისად კი, “სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება”.

განათლების შესახებ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, “დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულების შესრულება, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს”.

“ზოგადი განათლების შესახებ” კანონის მიხედვით, სკოლებს ევალებათ, მოსწავლეებს მიაწოდონ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული განათლება (მუხლი 33.1.ა).

აღნიშნული დებულება უფრო ფართოდაა გაშლილი 2004 წლის 18 ოქტომბერს დამტკიცებულ განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში და სხვადასხვა საგნების სასწავლო გეგმებში, კერძოდ, განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში მითითებულია: “სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარები, საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის”… იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე: დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება”. ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო გეგმების ამოცანად ტოლერანტი, ადამიანის ღირსებების და უფლებების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებაა დასახული.

## 1.3. ინტერკულტურული განათლება და მასწავლებლის სტანდარტი.

ინტერკულტურული სწავლების მოთხოვნა ასახული იყო 2008 წლის 21 ნოემბერს გამოცემულ მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტში: „მასწავლებელი იცნობს ინკლუზიური განათლების, ასევე მულტიკულტურულ და მულტილინგვურ მიდგომებსა და პრინციპებს და იყენებს მას საკუთარი პრაქტიკის განხორციელებაში".

უფრო დეტალურად ინტერკულტურული ასპექტები ასახულია მასწავლებლის საგნობრივ სტანდარტებში, კერძოდ, ქართულის, როგორც მეორე ენის, საზოგადოებრივი მეცნიერებების და უცხო ენების მასწავლებლების სტანდარტებში.

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტში 2014 წლის 28 მარტს განხორციელდა ცვლილებები. სტანდარტმა განსაზღვრა 4 კატეგორიის მასწავლებელი: (1) პრაქტიკოსი მასწავლებელი; (2) წარჩინებული მასწავლებელი; (3) მკვლევარი მასწავლებელი; (4) მენტორი მასწავლე-ბელი. თითოეული კატეგორიის მასწავლებლისთვის განისაზღვრა ინტერკულტურული განათლების მოთხოვნები და ინტერკულტურულ განათლებასთან დაკავშირებული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები სავალდებულოა ყველა კატეგორიის მასწავლებლისთვის, კერძოდ:

**პრაქტიკოსი მასწავლებელი:** ქმნის უსაფრთხო გარემოს სხვადასხვა კულტურის მოსწავლეებისათვის;

**წარჩინებული მასწავლებელი:** იყენებს მოსწავლეთა კულტურულ მრავალფეროვნებას დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად;

**მკვლევარი მასწავლებელი:** იკვლევს კულტურული თავისებურებების გავლენას მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირებაზე; შეიმუშავებს რეკომენდაციებს პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად; ახორციელებს კონფლიქტის პრევენციაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს სკოლისა და სასკოლო თემის სპეციფიკასთან დაკავშირებული რისკფაქტორების გათვალისწინებით. სპეციალისტებთან ერთად იკვლევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შექმნილი გარემოს ეფექტიანობას;

**მენტორი მასწავლებელი:** იგი არის სკოლასა და სასკოლო თემში ინტერკულტურული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშემწყობი საქმიანობების, სკოლაში ქცევის მართვასთან დაკავშირებული კვლევების ინიციატორი; კვლევის შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლაში პოზიტიური გარემოს დასამკვიდრებლად

# თავი მეორე.
# კვლევის მეთოდოლოგია.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც მოიცავდა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი კვლევის მეთოდებს. კვლევის მიზანი იყო:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა განათლების პროგრამების სტუდენტთა (მომავალ მასწავლებელთა) მასწავლებელთა ინტერკულტურული მგრძნობელობის დადგენა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით;
- მასწავლებელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების ეფექტურობის დადგენა სტუდენტებში მულტიკულტურული კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით

**მეთოდოლოგია**

ზემოთაღნიშნული მიზნების მისაღწევად კვლევის 3 მეთოდი შეირჩა:

(ა) რვა უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა განათლების პროგრამების და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების შესწავლა და ანალიზი (მულტიკულტურული განათლების თვალსაზრისით სამაგიდე კვლევით);

(ბ) სტუდენტთა გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით;

(გ) ფოკუს-ჯგუფები ოთხი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან

## (ა) მასწავლებელთა განათლების და პროფესიული განვითარების პროგრამების შესწავლა

პროექტის ფარგლებში განხორციელდა რვა უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამების შესწავლა მულტიკულტურული განათლების თვალსაზრისით. კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ შემდეგი უნივერსიტეტების საბაკალავრო პროგრამები:

(ა) თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

(ბ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

(გ) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

(დ) სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

(ე) ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

(ვ) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

(ზ) თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი;

(თ) გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

აღნიშნული რვა უმაღლესი სასწავლებლიდან ხუთი ახორციელებს სამაგისტრო პროგრამებსაც, შესაბამისად, მოხდა ამ უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამების შესწავლაც; კერძოდ, შევისწავლეთ შემდეგი უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამები:

(ა) თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

(ბ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

(გ) ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

(დ) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

(ე) თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი;

პროექტის ფარგლებში განხორციელდა აგრეთვე ამ მომენტისთვის აკრედიტებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 18 პროგრამის შესწავლა, რომელიც ხორციელდება 7 დამოუკიდებელი პროვაიდერის მიერ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული 137 ტრენინგმოდულიდან შესაბამისი ტრენინგმოდულების შესწავლა (მიზნობრივი პროგრამები, პროფესიული უნარების მოდულები, საგნობრივი მოდულების ნაწილი, დაწყებითი, სამოქალაქო განათლება, ენის მოდულები).

**(ბ) სტუდენტთა გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარით.**

**შერჩევა.**

სტუდენტთა შერჩევა მოხდა უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამებიდან. დღესდღეობით ამ პროგრამებზე 9 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 1.726 სტუდენტი. შერჩევა მოხდა ნახევრად მიზნობრივი პრინციპით 6 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიდან. შერჩევაში მონაწილეობა მიიღო:

(ა) რეგიონების ყველა უნივერსიტეტმა, ხოლო თბილისში არსებული უმაღლესი სასწავლებლებიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. საბოლოოდ კვლევაში მონაწილეობდა 6 უმაღლესი სასწავლებელი: (1) თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; (2) სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; (3) ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; (4) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; (5) თელავის იაკობ გოგებაშვილის

სახელობის უნივერსიტეტი; (6) გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

(ბ) კვლევისთვის შეირჩა სამაგისტრო პროგრამისა და საბაკალავრო პროგრამის მესამე-მეოთხე კურსის სტუდენტები, ანუ ისინი, ვისაც, ფაქტობრივად, გავლილი აქვთ სასწავლო და პრაქტიკული პროგრამის დიდი ნაწილი და შესაძლებლობა აქვთ ძალიან მალე შევიდნენ ზოგადი განათლების სისტემაში მასწავლებლებად.

საბოლოო ჯამში, ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის შედეგად შეირჩა 355 სტუდენტი, რაც მოიცავს 90%-ს და სანდოობის მაჩვენებელს 7%-იანი ცდომილებით. თითოეულ სტრატაში გამოიყო შესაბამისი კვოტა. შერჩეულ 355 სტუდენტთან ერთად საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იყო 35 სარეზერვო სტუდენტის ჩართვა დამატებით სიაში (ძირითადი სიის სტუდენთა მიერ კვლევაში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში).

## კითხვარის შემუშავება

კითხვარის შედგენა დაეფუძნა ინტერკულტურული განათლების მეცნიერებებში გავრცელებულ ორ კონცეპტუალურ ჩარჩოს, კერძოდ ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების ბენეტის მოდელსა და კულტურული იდენტობის ფორმირების თორმეტ წყაროს.

ადამიანები ინდივიდუალურად ახდენენ საკუთარი თავის კულტურულ იდენტიფიკაციას. დადგენილია კულტურული იდენტობის თორმეტი წყარო, რომელიც გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პროცესზე (კუშნერი, მაკლილანდი, საფორდი, 2006) (იხ. დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2. კულტურული იდენტობის წყაროები,
კუშნერი, მაკლილანდი, საფორდი, 2006, გვ. 70**




ამ თორმეტ წყაროს, რასაკვირველია, მოეპოვება გადაკვეთის წერტილები. არსებითია, რომ ინდივიდის კულტურული იდენტობა (ღირებულებები, რწმენა, ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები) ყალიბდება ამ თორმეტ წყაროსთან მიმართებით არსებული გამოცდილების საფუძველზე, რომლის შეძენაც ხდება ინდივიდის საურთიერთო სოციალიზაციის პროცესით. შესაბამისად, ინდივიდების კულტურული იდენტობა განსხვავებულია და სხვაობები ვლინდება კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში მონაწილე ამ თორმეტ წყაროსთან მიმართებით. კვლევის ფარგლებში სწორედ ამ თორმეტი განსხვავებული კულტურული იდენტობის წყაროსთან ინდივიდუალურად მიმართებასა და ამ იდენტობის წყაროებთან ერთობლიობაში უნდა შესწავლილიყო მასწავლებელთა ინტერკულტურული მგრძნობელობა განსხვავებულობისადმი საქართველოში.

ინტერკულტურული მგრძნობელობის ინსტრუმენტი დაეფუძნა ბენეტის მოდელს (ბენეტი, 1993). ბენეტი თავის მოდელში გამოყოფს ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების ექვს საფეხურს, რომლებიც დაყოფილია ორ ფაზად: ეთნოცენტრული ფაზა (1. სხვაობათა უარყოფა; 2. სხვაობათაგან თავდაცვა; 3. სხვაობათა მინიმიზაცია) და ეთნორელატიური ფაზა (4. სხვაობათა მიმღებლობა; 5. სხვაობათა ადაპტაცია; 6. სხვაობათა ინტეგრაცია).

**1) სხვაობათა უარყოფა** არის საფეხური, როდესაც ინდივიდს არ გააჩნია უნარი, შეამჩნიოს კულტურული სხვაობები. ამ დროს ინდივიდი იგნორირებას უკეთებს არსებულ მრავალფეროვან რეალობას.

**2) სხვაობათაგან თავდაცვა** წარმოადგენს შემდგომ საფეხურს ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების მოდელში. ამ ეტაპზე ხდება კულტურული სხვაობების აღიარება, თუმცა, ამასთანავე, განსხვავებული კულტურის შეფასება ხდება მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში.

**3) სხვაობათა მინიმიზაცია** არის ეთნოცენტრული ფაზის ბოლო საფეხური. ინტერკულტურული სენსიტიურობის ამ ეტაპზე მყოფი პიროვნება ახდენს კულტურული სხვაობების ზედაპირულ აღიარებას, თუმცა, ამავე დროს, აღიქვამს ყველა ინდივიდს, როგორც არსებითად მსგავსს.

**4) სხვაობათა მიმღებლობა** გახლავთ ეთნორელატიური ფაზის პირველი საფეხური. ამ ფაზის დროს ზოგადად იცვლება მიდგომა და ხდება იმის აღქმა, რომ „კულტურული სხვაობები არ არის სახიფათო". სხვაობების მიმღებლობის საფეხური გულისხმობს სხვაობის, როგორც ღირებულების, პატივისცემას და ინტერესს კულტურული სხვაობების მიმართ.

**5) სხვაობათა ადაპტაცია** გახლავთ ეთნორელატიური ფაზის მეორე საფეხური; იგი გულისხმობს უნარის განვითარებას, რომელსაც შეუძლია გაარღვიოს კულტურული ჩარჩოები და ინდივიდს უკვე შეუძლია კულტურათაშორისი ეფექტური კომუნიკაცია.

**6) სხვაობათა ინტეგრაცია** ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების ბოლო სტადიაა, რომლის მიღწევა ძალიან რთულია; იგი ძალიან იშვიათად გვხვდება რეალობაში. ამ საფეხურზე ინდივიდს შეუძლია თანაბრად და ეფექტურად იმოქმედოს ორი სრულიად განსხვავებული კულტურის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ ბენეტის მოდელის ასახვა სასწავლო პროცესში არის ყველაზე მოსახერხებელი, რამეთუ იგი ეფუძნება ბლუმის კოგნიტური

განვითარების ტაქსონომიას მარტივიდან რთულისაკენ და, შესაბამისად, შესაძლებელს ხდის ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების შეფასებას.

ბენჟამენ ბლუმმა შეიმუშავა სააზროვნო (კოგნიტური) უნარების განვითარების ტაქსონომია სპეციალურად განათლების სისტემისათვის. ბლუმის მიხედვით, აზროვნების ან შემეცნების უნარი ექვს დონედ შეიძლება დაიყოს: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. ცოდნა, გაგება და გამოყენება არის აზროვნების დაბალი დონეები, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება – მაღალი.

კვლევის ფარგლებში მოხდა ბენეტის მეხუთე და მეექვსე საფეხურების შერწყმა, რადგან ორივე საფეხური ეთნორელატიური ფაზის მაღალ დონეს წარმოადგენს და ბლუმის ტაქსონომიის შეფასებისა და სინთეზის საფეხურების ადეკვატურია. ვინაიდან ბლუმის კოგნიტური დომენის მეხუთე და მეექვსე საფეხურის თანმიმდევრობა ხშირად საკამათოა სამეცნიერო წრეებში (ბლუმის ტაქსონომიის ტრანსფორმირებული ვერსიებიც სწორედ მეხუთე და მეექვსე საფეხურებზეა ორიიენტირებული: ანდერსონი და კრასვოლი, 2001), გადაწყდა ამ ორი საფეხური გაერთიანება. აღნიშნული გაერთიანება მნიშვნელოვანი იყო კვლევაში ლიკერტის 5-დონიანი შკალის გამოყენების თვალსაზრისითაც.

კვლევის ფარგლებში ინტერკულტურული მგრძნობელობის კითხვარი შედგებოდა თოთხმეტი ნაწილისგან. კითხვარის პირველი ნაწილი მოიცავდა დემოგრაფიულ მონაცემებს, კითხვარის მეორე ნაწილში წარმოდგენილი იყო ზოგადი შეკითხვები კულტურული განსხვავებულობისადმი მგრძნობელობის შესახებ, ხოლო მესამე-მეთოთხმეტე თავები მოიცავდა შეკითხვებს კულტურული იდენტობის ფორმირების თორმეტ წყაროსთან მიმართებით (რომელიც ცალ-ცალკეა დაყოფილი თავების მიხედვით: რასა, ეთნიკურობა, მოქალაქეობა, ენა, რელიგია, სქესი, ჯანმრთელობა, სოციალური მდგომარეობა, სოციალური სტატუსი, ასაკი, ტერიტორიული მდებარეობა, სექსუალური ორიენტაცია).

მთლიანობაში კითხვარი მოიცავდა 89 შეკითხვას და თითო შეკითხვაზე მისანიჭებელი ქულების გრადაციამ შეადგინა 1-დან 5-მდე ქულა ლიკერტის შკალის შესაბამისად; მინიჭებული ქულა გამოხატავდა გრადაციას

ინტერკულტურული მგრძნობელობის ბენეტის მიერ ჩამოყალიბებული მოდელის შესაბამისად გასხვავებათა უარყოფიდან განსხვავებათა ადაპტაცია-ინტეგრაციამდე. კითხვაში დასმული შეკითხვის პასუხად გამოკითხვაში მონაწილე ხაზავდა ერთ-ერთ ყველაზე ახლოს მდგომ ვარიანტს: (ა) კატეგორიულად არ ვეთანხმები; (ბ) არ ვეთანხმები; (გ) ნაწილობრივ ვეთანხმები; (დ) ვეთანხმები; (ე) სრულად ვეთანხმები.

კითხვების ფორმულირება იყო სხვადასხვა და 1-დან 5 ქულამდე მინიჭება ხდებოდა კონკრეტული კითხვიდან გამომდინარე. ზოგიერთ შემთხვევაში „კატეგორიულად არ ვეთანხმები" გულისხმობდა 1 ქულის მინიჭებას, ზოგჯერ - 5 ქულას, ანალოგიურად, პასუხი „სრულად ვეთანხმები" ხან 1 ქულას ანიჭებდა და ხან 5-ს, _ ისევე როგორც პასუხი „ვეთანხმები" და პასუხი „არ ვეთანხმები" გულისხმობდა 2 ან 4 ქულის მინიჭებას კითხვის ფორმულირებიდან გამომდინარე (შემუშავებული კითხვარი იხილეთ დანართის სახით). კითხვარში შეტანილი 89 კითხვიდან 1-5-მდე შეფასებით თითო კითხვაზე შემუშავდა ქულების შესაბამისად მასწავლებელთა მგრძნობელობის 5-ფაზიანი სისტემა, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

**ცხრილი 7. ინტერკულტურული მგრძნობელობის შეფასების სისტემა**

| **ინტერკულტურული მგრძნობელობის დონე** |
|---|
| 1. სხვაობათა უარყოფა- 89-133 |
| 2.სხვაობათაგან თავდაცვა- 134-222 |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 223-311 |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 312-400 |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 401-445 |

| **ზოგადი სენსიტიურობა** | თავი მეორე, 1-11 კითხვები |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-11-16 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 17-27. | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 28-38 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა-39-49 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 50-55 | |

| **რასობრივი სენსიტიურობა** | (თავი მესამე, კითხვები 12-17) |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-6-8 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 9-14 | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 15-20 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 21-26 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 27-30 | |

| **ეთნიკური სენსიტიურობა** | (თავი მეოთხე, კითხვები 18-24) |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-7-10 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 11-17 | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 18-24 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 25-31 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 32-35 | |

| **ეროვნული/მოქალაქეობრივი სენსიტიურობა** | (თავი მეხუთე, კითხვები 25-30) |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-6-8 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 9-14 | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 15-20 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 21-26 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 27-30 | |

| **ლინგვისტური სენსიტიურობა** | (თავი მეექვსე, კითხვები 31-36) |
|---|---|
| 1, სხვაობათაუარყოფა-6-8 | |
| 2. სხვაობათაგანთავდაცვა- 9-14 | |
| 3.სხვაობათამინიმიზაცია- 15-20 | |
| 4. სხვაობათამიმღებლობა- 21-26 | |
| 5. სხვაობათაადაპტაცია/ინტეგრაცია- 27-30 | |

| **რელიგიური სენსიტიურობა** | (თავი მეშვიდე, კითხვები 37-43) |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-7-10 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 11-17 | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 18-24 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 25-31 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 32-35 | |

| **გენდერული სენსიტიურობა** | (თავი მერვე, კითხვები 44-51) |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-8-11 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 12-19 | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 20-27 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 28-35 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 36-40 | |

| **სენსიტიურობა ჯანმრთელობისადმი** | (თავი მეცხე, კითხვები 52-55) |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-4-6 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 7-10 | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 11-14 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 15-18 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 19-20 | |

| **სენსიტიურობა სოციალურიკლასისადმი** | (თავი მეათე, კითხვები 56-64) |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-9-13 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 14-22 | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 23-31 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 32-40 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 41-45 | |

| **სენსიტიურობა სოციალური სტატუსისადმი** | (თავი მეთერთმეტე, კითხვები 65-70) |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-6-8 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 9-14 | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 15-20 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 21-26 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 27-30 | |

| **სენსიტიურობა ასაკობრივი სხვაობისადმი** | (თავი მეთორმეტე, კითხვები 71-75) |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-5-7 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 8-12 | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 13-17 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 18-22 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 23-25 | |

| **სენსიტიურობა გეოგრაფიული საცხოვრებელისადმი** | (თავი მეცამეტე, კითხვები 76-84) |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-9-13 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 14-22 | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 23-31 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 32-40 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 41-45 | |

| **სენსიტიურობა სექსუალური ორიენტაციისადმი** | (თავი მეთოთხმეტე, კითხვები 85-89) |
|---|---|
| 1, სხვაობათა უარყოფა-5-7 | |
| 2. სხვაობათაგან თავდაცვა- 8-12 | |
| 3.სხვაობათა მინიმიზაცია- 13-17 | |
| 4. სხვაობათა მიმღებლობა- 18-22 | |
| 5. სხვაობათა ადაპტაცია/ინტეგრაცია- 23-25 | |

## გ) ფოკუს-ჯგუფები

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ფოკუსჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტების მასწავლე-ბელთა განათლების პროგრამების პროფესორ-მასწავლებლებმა. ფოკუს-ჯგუფები განხორციელდა წინასწარ შემუშავებული პროტოკოლის და გაიდების შესაბამისად.

ფოკუს-ჯგუფები ჩაწერილია დიქტოფონზე. ფოკუსჯგუფებში მიმდინარე საუბრები დაფიქსირდა ვიდეოკამერებითაც.

**მონაცემთა შეგროვება და ანალიზი.**

კვლევის მიზნიდან და საპილოტე კითხვარებიდან მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გადაწყდა, რომ გარდა აღწერითი ანალიზისა, საჭირო იქნებოდა ტესტისა და პარამეტრული სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენება, რომელიც მოგვცემდა კროსტაბულარებით

სხვადასხვა პარამეტრის შედარებით მონაცემთა დანახვის საშუალებას. რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამის საშუალებით. თვისობრივი მონაცემების ტრანსფორმირება მოხდა ტრანსკრიპტების საშუალებით, რომელთა საფუძვლიანი გაანალიზებისათვის სპეციალური აპლიკაცია „ატლასი ს" იქნა გამოყენებული.

**კვლევის ლიმიტები.**

კვლევას გააჩნდა გარკვეული ლიმიტები:

(1) კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამები და სილაბუსები, თუმცა პროგრამასა და სილაბუსში ასახული მასალა ბოლომდე ვერ ასახავს კურსის განმავლობაში არსებულ საკლასო დინამიკას და შესაძლებელია, პროფესორ-მასწავლებლები კურსის პრაქტიკული გაძღოლისას იყენებდნენ მულტიკულტურული განათლების მიდგომებს, მიუხედავად იმისა, რომ ის პირდაპირ ვერ ან არ არის ასახული პროგრამასა და სილაბუსში. კვლევის ამ ლიმიტის დასაბალანსებლად გამოვიყენეთ ფოკუს-ჯგუფების განხილვები, რამაც მეტნაკლები სიცხადე შეიტანა საკითხში, თუმცა საუნივერსიტეტო სასწავლო პრაქტიკის გასაცნობად კვლევის სხვა მეთოდების გამოყენებაცაა აუცილებელი, მათ შორის სტუდენტების მიერ კურსის შეფასების კითხვარი, ლექციაზე დასწრება, სტუდენტთა პრე- და პოსტ-გამოკითხვა და ა.შ., რაც კვლევის ფარგლებში არ განხორციელებულა;

(2) კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ მასწავლებელთა განათლების პროგრამები სტუდენტთა ინტერკულტურული მგრძნობელობა დამოკიდებულებების თვალსაზრისით, თუმცა კვლევას არ შეუსწავლია თუ რამდენად აისახება მომავალი მასწავლებლების ინტერკულტურული მგრძნობელობა დამოკიდებულებების თვალსაზრისით მათ ქმედებებზე განსხვავებული კულტურის მქონე ადამიანებისადმი;

3) კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ მომავალი მასწავლებლების ინტერკულტურული მგრძნობელობა და შევადარეთ მოქმედი დაწყებითი კლასის მასწავლებლების ინტერკულტურულ მგრძნობელობას. მოქმედი მასწავლებლების უმრავლესობას უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ

მასწავლებელთა განათლების ძველი პროგრამებით, რომელიც შემუშავდა მასწავლებელთა სტანდარტის მიღებამდე ანუ 2008 წლამდე, ხოლო სტუდენტები ამჟამად სწავლობენ ახალი მასწავლებელთა განათლების პროგრამებით, რომელთა შემუშავება მოხდა მასწავლებლის სტანდარტის მიღების შემდგომ. ეს განსხვავება გვაძლევდა საშუალებას მეტ-ნაკლებად დაგვედინა უმაღლესი სასწავლებლების ამჟამინდელი პროგრამების ეფექტურობა სტუდენტებში ინტერკულტურული მგრძნობელობის თვალსაზრისით. თუმცა მასწავლებელთა განათლების პროგრამების ეფექტურობის უფრო ზუსტი შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს სტუდენტთა სწავლამდე და პროგრამის გავლის შემდგომ გამოკითხვა და შედეგების შედარება. ამ მეთოდის განხორციელება შესაძლებელია გრძელვადიანი კვლევის ფარგლებში, ხოლო ჩვენი კვლევა ვერ გამოიყენებდა პრე და პოსტ გამოკითხვის მიდგომის მისი განხორციელების ვადებში შეზღუდულობის გამო.

# თავი მესამე.
# მასწავლებელთა განათლების პროგრამების ანალიზი.

ინტერკულტურული განათლების თვალსაზრისით გავაანალიზეთ მასწავლებელთა განათლების პროგრამები რვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროგრამები შევისწავლეთ შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

(1) მოიცავს თუ არა პროგრამის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები ინტერკულტურული განათლების ცოდნასა და კომპეტენციებს;

(2) მოიცავს თუ არა მასწავლებელთა განათლების კურიკულუმი ინტერკულტურული/მულტიკულტურული და ინკლუზიური განათლების კურსებს;

(3) არის თუ არა სხვადასხვა საგნის სილაბუსებში ინკორპორირებული მულტიკულტურული განათლების სტრატეგიები;

(4) აქვთ თუ არა მასწავლებელთა განათლების პროგრამების სტუდენტებს მრავალფეროვან გარემოში სასკოლო პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობა.

თითოეული მიმართულებით მოკლედ მიმოვიხილავთ კვლევის შედეგებს:

## მასწავლებელთა განათლების პროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მასწავლებელთა განათლების პროგრამებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აქვთ სპეციალური სექცია საგანამნათლებლო პროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. ეს სექცია შედგება ექვსი ნაწილისაგან:

1) ცოდნა და კომპეტენციები;

2) პრაქტიკა;

3) სწავლების უნარები;

4) საკომუნიკაციო უნარები;

5) პროფესიული განვითარება;

6) ღირებულებები.

ჩვენ გავაანალიზეთ პროგრემების ეს სექცია. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოგიდგენთ მასწავლებელთა განათლების პროგრამების აღნიშნული სექციის კვლევის შედეგებს რვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

**ცხრილი 8. მასწავლებელთა განათლების პროგრამის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები მულტიკულტურული განათლების კუთხით (ბაკალავრიატი)**

| უნივერსიტეტი | ცოდნა და კომპეტენციები/ ინტერკულტურული განათლების პრაქტიკა | ინკლუზიური განათლების კომპეტენციები | ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარები | ღირებულებები ინტერკულტურიზმი / ტოლერანტობა |
|---|---|---|---|---|
| 1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | + | - | - |
| 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | + | + | - | - |
| 3. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | + | - | - |

| უნივერსიტეტი | ცოდნა და კომპეტენციები/ ინტერკულტურული განათლების პრაქტიკა | ინკლუზიური განათლების კომპეტენციები | ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარები | ღირებულებები ინტერკულტურიზმი / ტოლერანტობა |
|---|---|---|---|---|
| 4. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | + | - | - |
| 5. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | + | - | - |
| 6. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | + | - | - |
| 7. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | + | - | - |
| 8. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | + | - | - |

მასწავლებელთა განათლების შესწავლილი რვა საბაკალავრო პროგრამიდან მხოლოდ ერთი პროგრამა მიუთითებს, რომ მასწავლებელთა განათლების პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ მრავალფეროვან საკლასო გარემოში მუშაობის ცოდნა და უნარები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უნივერსიტეტს მასწავლებელთა განათლების პროგრამებში მითითებული აქვთ ინკლუზიური განათლების სტრატეგიის ცოდნა და შესაძლებლობა, რომ კურსდამთავრებულმა იმუშაოს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან.

21-ე საუკუნეში ძალიან მნიშვნელოვანია ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციები და უნარები. რვა განხილული პროგრამი-

დან არცერთი არ ისახავს მიზნად სტუდენტებისთვის ინტერკულტურუ-ლი კომუნიკაციის კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას. საქართველოს უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებებს ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციების განვითარება არათუ მიზნად არა აქვთ დასახული, არამედ საუბარიც არსად არის ამ მიზნის იმპლემენტაციასა და მიღწევის შესაძლებლობებზე.

ანალიზისათვის საინტერესოა აგრეთვე ღირებულებების ქვესექცია. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მიზნად არ ისახავენ სტუდენტებისათვის ისეთი ღირებულებების განვითარებას, როგორიცაა ტოლერანტობა, ჰუმანურობა და ინტერკულტურალიზმი. ფაქტობრივად, კვლევამ დაადგინა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები კოპირებულია ერთმანეთისგან. ყველა პროგრამა მოიცავს ერთი და იმავე ღირებულებების, საკომუნიკაციო უნარებისა და კომპეტენციების ნუსხას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ თითოეული პროგრამა დაფუძნებულია რომელიმე საბაზისო ნიმუშზე ყოველგვარი გადახედვისა და ადაპტირების გარეშე.

ამავე კონტექსტში საინტერესო იყო იმავე უნივერსიტეტებში მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამების შესწავლა და ანალიზი. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს საკვლევ უნივერსიტეტებში ამ თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას:

**ცხრილი 9. მასწავლებელთა განათლების პროგრამის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები მულტიკულტურული განათლების კუთხით (მაგისტრატურა)**

| უნივერსიტეტი | ცოდნა და კომპეტენციები/ ინტერკულტურული განათლების პრაქტიკა | ინკლუზიური განათლების კომპეტენციები | ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარები | ღირებულებები ინტერკულტურიზმი / ტოლერანტობა |
|---|---|---|---|---|
| 1.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | + | - | - |
| 2.ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | + | + | - | - |
| 3. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | + | - | - |
| 4. ქუთაისის სახელმწიფო უნივერისიტეტი | - | + | - | - |
| 5. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | + | - | - |

საკვლევი რვა უნივერსიტეტიდან მხოლოდ ხუთს აქვს მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო პროგრამა. ხოლო ხუთი სამაგისტრო პროგრამიდან მხოლოდ ერთი მიუთითებს, რომ მასწავლებელთა განათლების კურსდამთავრებულებს ექნებათ მრავალფეროვანი კლასის მართვის უნარი და კომპეტენციები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უნივერსიტეტის მასწავლებელთა განათლების პროგრამები მოიცავს ინკლუზიური განათლების სტრატეგიასა და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის უნარების განვითარებას.

მასწავლებელთა განათლების პროგრამებში მულტიკულტურული განათლების ასპექტების არარსებობა ხშირ შემთხვევაში არ წარმოადგენს პროცედურულ თუ ფორმალურ ხარვეზს, არამედ კარგად გააზრებულია პროგრამების ხელმძღვანელების და ლექტორების მიერ. ფოკუსჯგუფებთან დისკუსიებმა საინტერესო ტენდენციები გამოავლინა ამ მიმართულებით და გაამყარა პროგრამებისა და სილაბუსების ანალიზის შედეგები. ფოკუს-ჯგუფების მეთოდით კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთი საკვლევი უნივერისტეტის პროფესორები და მასწავლებლები ინტერკულტურულ სენსიტიურობას, ტოლერანტობასა და მულტიკულტურული განათლების სტრატეგიებს არ მიიჩნევენ მომავალი მასწავლებლისთვის მნიშვნელოვან კომპეტენციად.

ერთ-ერთ ფოკუსჯგუფში მონაწილე მიუთითებს:

**„ჩვენ ტოლერანტობის განვითარება სტუდენტებს შორის შეგვიძლია სხვადასხვა აქტივობის საშუალებით, მაგალითად, ჯგუფური მუშაობის დროს. და მაინც, ტოლერანტობა არ არის მნიშვნელოვანი და უმთავრესი კომპეტენცია.“**

## ინტერკულტურული / მულტიკულტურული და ინკლუზიური განათლების კურსები მასწავლებელთა განათლების პროგრამებში.

კვლევის ფარგლებში გავაანალიზეთ რვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა განათლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამები და მათში მულტიკულტურული განათლე-ბის კურსებისა და ასპექტების ასახვის ტენდენციები. მასწავლებელთა განათლების პროგრამების შესწავლა და ანალიზი მოხდა სხვადასხვა მიმართულებით:

(1) მოიცავს თუ არა სასწავლო კურიკულუმი მულტიკულტურული/ ინტერკულტურული განათლების კურსებს;

(2) მოიცავს თუ არა სასწავლო კურიკულუმი ინკლუზიური განათლების კურსებს;

(3) არის თუ არა ინკორპორირებული სასწავლო კურიკულუმის სხვადასხვა კურსებში მულტიკულტურული განათლების სტრატეგია

ან მულტიკულტურული განათლების რომელიმე ასპექტი. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოგიდგენთ ანალიზის შედეგებს:

**ცხრილი 10. უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა განათლების პროგრამები მულტიკულტურული განათლების თვალსაზრისით**

| უნივერსიტეტი | მულტიკულტურული/ ინტერკულტურული განათლების კურსები | ინკლუზიური განათლების კომპეტენციები | სხვა (კავშირში მყოფი) კურსები |
|---|---|---|---|
| 1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | + არჩევითი | +სავალდებულო | - |
| 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | +სავალდებულო | - |
| 3. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | + არჩევითი | +სავალდებულო | - |
| 4. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | + არჩევითი | +სავალდებულო | +ბილინგვური განათლების საფუძვლები; ქართული, როგორც მეორე ენა; სამოქალაქო განათლების საფუძვლები; ბავშვთა უფლებები. |
| 5. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | +სავალდებულო | - |
| 6. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | +სავალდებულო | - |
| 7. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | +სავალდებულო | - |
| 8. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | - | +სავალდებულო | +სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდები; სოციალური პედაგოგიკა. |

პროგრამების ანალიზმა აჩვენა, რომ ყველა უნივერსიტეტს აქვს ინკლუზიური განათლების სავალდებულო კურსი. რვა უნივერსიტეტიდან მხოლოდ სამს აქვს მულტიკულტურული განათლების არჩევითი კურსი.

ფოკუსჯგუფში დისკუსიამ გამოავლინა ის ტენდენციები, რაც მასწავლებელთა განათლების პროგრამებშია ასახული. ამ მიმართულებით კურსების არარსებობის ახსნა აქვთ იმ უნივერსიტეტებს, რომლებსაც ეს კურსები არ გააჩნიათ. მაგალითად, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ფიქრობენ, რომ მულტიკულტურული განათლება არ არის მნიშვნელოვანი მათთვის:

> **„ჩვენ ვსაუბრობთ ტოლერანტობის შესახებ მასწავლებლის საათზე... ჩვენ მომავალშიც ვისაუბრებთ ამის შესახებ. მასწავლებელმაც და მოსწავლემაც უნდა იფიქროს ამ პრობლემაზე. და მაინც, ჩვენ არ გვაქვს ამგვარი პრობლემები. თბილისში შეიძლება ეს პრობლემა მნიშვნელოვანი იყოს. თბილისი კულტურულად მრავალფეროვანი ქალაქია, ქუთაისი - არა. ჩვენთან უფრო ნაკლებია კულტურული მრავალფეროვნება.“**

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მულტიკულტურული განათლების და მისი საჭიროებების შესახებ ხედვა ეფუძნება „უმცირესობათა დაცვის“ პარადიგმას და არა საერთოდ მულტიკულტურალიზმის გააზრებას, როგორც კომპეტენციას, რაც უმნიშვნელოვანესია ყველა მოსწავლისთვის თანამედროვე მსოფლიოში. იგი ასახულია საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და სასწავლო გეგმაში. სწორედ მულტიკულტურალიზმის როლის არასწორად გააზრება თანამედროვე სამყაროში და მისი მნიშვნელობის დაკნინება განაპირობებს უნივერსიტეტებში ამ თვალსაზრისით გაკეთებულ ნაკლებ აქცენტებს მომავალი თაობებისთვის, ამან კი შესაძლებელია მომავალში შესაბამისი ასახვა ჰპოვოს სასკოლო განათლებაზე, როცა უკვე მომზადებული მასწავლებლები სკოლებში დაიწყებენ სწავლებას.

კვლევამ საინტერესო ტენდენცია აჩვენა პროფესორ-მასწავლებელთა დამოკიდებულების თვალსაზრისით უნივერსიტეტების ადგილ-მდებარეობასთან კორელაციასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტებს,

რომლებიც მდებარეობენ კულტურულად მრავალფეროვან რეგიონებში, განსხვავებული მიდგომები აქვთ.

ფოკუსჯგუფებში დისკუსიის დროს გამოვლინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლების დამოკიდებულებები მულტიკულტურული განათლების მნიშვნელობის მიმართ პოზიტიურია:

> **„ჩვენ ვასწავლით მსოფლიო კულტურას. ეს მულტიკულტურული განათლების ნაწილია. მასწავლებლები გულმოდგინედ მუშაობენ ამ მიმართულებით. მე დავწერე სტატია „მულტიკულტურული განათლების თანამედროვე ასპექტები" და ვმონაწილეობდი კონფერენციაში, რომელიც იაპონიაში გაიმართა. ეს ჩვენი მომავალია. საქართველო ვერ გახდება ევროპის ნაწილი, თუ ამ მიმართულებით არ ვიმუშავებთ".**

აღსანიშნავია, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს არ აქვს მულტიკულტურული განათლების კურსი. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ცდილობენ, ეს საკითხი ასწავლონ ისეთი კურსების ფარგლებში, როგორიცაა: სოციალური პედაგოგიკა, ინკლუზიური განათლება და სამოქალაქო განათლების მეთოდოლოგია.

> **„ჩვენთან მულტიკულტურული განათლება კომბინირებულია როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამებში... ჩვენ ვცდილობთ ვასწავლოთ სტუდენტებს, როგორ იცხოვრონ მრავალფეროვან გარემოში, როგორ იყვნენ ტოლერანტები, როგორ იცხოვრონ მულტიკულტურულ გარემოში, თუ როგორ მიიღონ განსხვავებული აზრი."**

მულტიკულტურული განათლების საჭიროებას ხაზს უსვამენ სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებიც. აღნიშნული უნივერსიტეტი მდებარეობს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში. აღნიშნული კონტექსტი მათ პროგრამაშიც აისახება. სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს მასწავლებელთა ბილინგვური განათლების პროგრამა და ქართულის,

როგორც მეორე ენის მასწავლებელთა განათლების პროგრამა. უნივერსიტეტს აგრეთვე აქვს ცალკე მოდული - ინტერკულტურული განათლების მოდული. აღნიშნული მოდული შემდეგ კურსებს მოიცავს: 1) ბავშვთა უფლებები; 2) სამოქალაქო განათლება; 3) კულტურული მრავალფეროვნება საქართველოში; 4) მულტიკულტურული და მრავალფეროვანი საკლასო გარემოს მართვა.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული კურსების სილაბუსები შეიქმნა ევროკავშირის პროექტების ფარგლებში. ეს კურსები აკრედიტებულია. აღნიშნული კურსების დანერგვა დაიწყება 2014-2015 სასწავლო წლებში. ფოკუსჯგუფებში დისკუსიის დროს გამოიკვეთა ლექტორების პოზიტიური დამოკიდებულებები სტუდენტებში ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების მნიშვნელობის მიმართ მასწავლებელთა განათლების პროგრამაში:

> **„ამ მხრივ ჩვენ შევქმენით სხვადასხვა კურსი. სასწავლო გეგმაში გვაქვს ინკლუზიური განათლებაც. მიუხედავად ამისა, სასწავლო გეგმაში დავამატეთ ოთხი ახალი კურსი ამ მიმართულებით. ეს კურსები არჩევითია.“**

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტებში მასწავლებელთა განათლების პროგრამებში მულტიკულტურული განათლების კურსების ჩართვა თუ მიდგომების სხვადასხვა კურსებში ასახვა ეფუძნება „უმცირესობათა დაცვის“ პარადიგმას და არ გამომდინარეობს უნივერსიტეტების მიერ ყველა მოსწავლისთვის/ადამიანისთვის მულტიკულტურული განათლებისა და შესაბამისი კომპეტენციების მნიშვნელობის გააზრებას თანამედროვე მსოფლიოში.

## მომავალ მასწავლებელთა პრაქტიკა მრავალფეროვან სასკოლო გარემოში

მასწავლებელთა განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს აქვს სავალდებულო სახით პრაქტიკული ნაწილი, ანუ პროგრამის სტუდენტები პრაქტიკას გადიან რომელიმე საჯარო ან კერძო სკოლაში. უმაღლესი სასწავლებლები პროგრამის შედგენისას ადგენენ მემორან-დუმს ან ხელშეკრულებას სკოლებთან, რომლის საფუძველზეც ხდება

სტუდენტთა პრაქტიკაზე მივლინება სკოლებში. ყველა სტუდენტი გადის სწავლების პრაქტიკას სკოლაში. პრაქტიკა ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განსაზღვრული სკოლების შეთანხმების საფუძველზე. პროგრამების ანალიზმა, ისევე როგორც პროფესორ-მასწავლებლებთან ფოკუსჯგუფებმა აჩვენეს, რომ უმაღლესი საგანმანამათლებლო დაწესებულებები სტუდენტთა პრაქტიკისთვის სკოლებს მოხერხებულობის  პრინციპით ირჩევენ და დიდი არჩევანი არ არის.  ამ თვალსაზრისით განსხვავებული ვითარებაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც სტუდენტებს იმ სკოლების ფართო არჩევანს სთავაზობს, სადაც მათ შეუძლიათ სასწავლო პრაქტიკა გაიარონ. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს უნივერსიტეტების მიხედვით მასწავლე-ბელთა განათლების პროგრამებში სტუდენტების შესაძლებლობას, მიიღონ პრაქტიკა მრავალფეროვან საკლასო გარემოში:

**ცხრილი 11. სასწავლო პრაქტიკა უნივერსიტეტების მიხედვით**

| უნივერსიტეტი | სასწავლო პრაქტიკისათვის სკოლების რაოდენობა | სკოლები სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებით | არაქართულენოვანი სკოლები | სპეციალური სკოლები | ქალაქი | სოფელი/ მაღალმთიანი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 4 | X | - | - | X | - |
| **2.** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | 33 | X | X | - | X | - |
| **3.** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 2 | 1 X (მხოლოდ ინკლუზური განათლების პროგრამის სტუდენტებისათვის) | - | - | X | - |
| **4.** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 3 | 1 | - | X | X | - |
| **5.** თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | | | | | X | - |
| **6.** გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1 | - | - | - | X | - |
| **7.** ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | | | | | X | - |
| **8.** ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | | X | - | - | X | - |

სასწავლო პრაქტიკის ანალიზმა რამდენიმე ტენდენცია გამოკვეთა:

(ა) სტუდენტების სასწავლო პრაქტიკა ყოველთვის ქალაქის სკოლებში ხორციელდება; სასოფლო ან მთის სკოლებში პრაქტიკის შესაძლებლობა არ გააჩნიათ სტუდენტებს;

(ბ) მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს პრაქტიკის თაობაზე შეთანხმება თბილისის არაქართულენოვან N 98 სკოლასთან. სხვა უნივერსიტეტები სტუდენტებს სასწავლო პრაქტიკას მხოლოდ ქართულენოვან სკოლებში სთავაზობენ;

(გ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს პრაქტიკის განხორციელების შეთანხმება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებით დაკომპლექტებულ სკოლაში (თბილისის N 198 სკოლა). ასევე, სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტი აძლევს სტუდენეტებს შესაძლებლობას, პრაქტიკა გაიარონ სპეციალიზებულ, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა სკოლაში (ახალციხის N 7 სკოლა). სკოლების უმეტესობას, სადაც სასწავლო პრაქტიკა ხორციელდება, ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები ან მოსწავლეები სწავლის სხვადასხვა შეზღუდვებით. გამონაკლისია გორისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტები, რომელთა მიერ სასწავლო პრაქტიკისთვის შერჩეულ სკოლებში ოფიციალურად დარეგისტრირებული სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები არ ირიცხებიან. (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბაზა, 2014).

კვლევამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტებს შესაძლებლობა აქვთ, მრავალფეროვანი გახადონ სკოლები სტუდენტებისათვის პრაქტიკის განსახორციელებლად. სპეციალიზებული სკოლები, სოფლის სკოლები, ეთნიკური უმცირესობების სკოლები და სკოლები სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებით წარმოდგენილი არიან იმ რეგიონებსა და ქალაქებშიც, სადაც ეს უნივერსიტეტები მდებარეობენ. აღნიშნული ტენდენცია კარგად არის წარმოჩენილი ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

**ცხრილი 12. რეგიონების მიხედვით სხვადასხვა სკოლების მრავალფეროვანი გარემოთი**

| რეგიონი | სკოლები სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებით | არაქართულენოვანი სკოლები | სპეციალური სკოლები |
|---|---|---|---|
| 1. თბილისი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას უნივერსიტეტი; სოხუმის უნივერსიტეტი) | + | + | თბილისის 5 პანსიონური ტიპის სპეციალური სკოლა |
| 2. სამცხე-ჯავახეთი (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) | + | 11 არაქართულენოვანი სკოლა ახალციხის რაიონში, მათ შორის სომხური სკოლა ქალაქ ახალციხეში | ახალციხის მე-7 სკოლა |
| 3. კახეთი (თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი) | + | აზერბაიჯანულენოვანი სკოლები | |
| 4. შიდა ქართლი (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი) | + | რუსულენოვანი სექტორები | - |
| 5. იმერეთი( ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) | + | რუსულენოვანი სექტორები | ქუთაისის 45 სკოლა,სამტრედიის მე-15 და ჭიათურის მე-12 სპეციალური სკოლები |
| 6. აჭარა (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) | + | რუსულენოვანი სექტორები | |

# თავი მეოთხე.
# სტუდენტთა ინტერკულტურული მგრძნობელობის კვლევა გამოკითხვის საშუალებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი საქართველოს მასშტაბით სულ 355 სტუდენტი გამოიკითხა საქართველოს 6 სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. შესაბამისად, გამოკითხვის შედეგები განზოგადების საშუალებას იძლევა და შეგვიძლია ვიმსჯელოთ საქართველოში მასწავლებელთა განათლების პროგრამის სტუდენტების მულტიკულტურული სენსიტიურობის შესახებ. ამასთან, გამოკითხვის ფარგლებში გამოყენებული კითხვარი იდენტურია იმ კითხვარისა, რომელიც დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მულტიკულტურული მგრძნობელობის კვლევისათვის იქნა გამოყენებული. ეს კი საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ორივე მიზნობრივი ჯგუფის შედეგების შედარება და გამოვიტანოთ დასკვნები საუნივერსიტეტო პროგრამების გავლენაზე სტუდენტების მულტიკულტურული სენსიტიურობის ფორმირების საკითხში.

როგორც კვლევიდან ირკვევა, სტუდენტებს განსხვავებული შეხედულე-ბები აქვთ მულტიკულტურალიზმის მაფორმირებელი 12 წყაროს მიმართ, რომელიც ბენეტის მიერ არის განსაზღვრული. საგულისხმოა აქვე აღინიშნოს, რომ გამოკითხვის მიხედვით, სტუდენტები არ იმყოფებიან ეთნოცენტრიზმის ყველაზე დაბალ (უარყოფისა) და ეთნორელატივიზმის ყველაზე მაღალ (ადაპტაცია-ინტეგრაციის) საფეხურებზე. სტუდენტების უმნიშვნელო ნაწილი იმყოფება ეთნოცეტრიზმის მეორე (თანდაცვის) სტადიაში, რაც 0.3%-ით არის გამოხატული. სტუდენტების 36.3% ეთნორელატივიზმის პირველ საფეხურის (მიმღებლობის) სტადიაშია. ყველაზე დიდი რაოდენობით სტუდენტები 5-საფეხურიანი სკალის შუა (მინიმიზაციის) საფეხურზე იმყოფებიან და ეს მაჩვენებელი 63.4%-ით განისაზღვრა (იხ. დიაგრამა).

**დიაგრამა 3. სტუდენტების მულტიკულტურული მგრძნობელობა ბენეტის სკალის საფეხურების მიხედვით**




მულტიკულტურული სენსიტიურობის გადანაწილება ბენეტის სკალაზე გაანალიზდა თითოეულ წყაროსთან მიმართებით. სწორედ თითოეული წყაროს გადანაწილებისა და თითოეული დებულების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტებს აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ მულტიკულტურული მგრძნობელობის სხვადასხვა წყაროს მიმართ. შესაბამისად, გამოკითხვის შედეგების დეტალური ანალიზისათვის თითოეული წყაროს აღქმას და დამოკიდებულებების შესწავლას მიენიჭა განსაკუთრებული ყურადღება. შემდეგ ნაწილებში  გაანალიზებული იქნება თითოეული წყაროსადმი დამოკიდებულება და ის თავისებურებები, რომლებიც კონკრეტული წყაროს მიმართ ვლინდება სტუდენტების პოპულაციაში.

## მულტიკულტურული სენსიტიურობა ზოგადად მრავალფეროვნებისადმი.

როგორც კვლევის მეთოდოლოგიის თავში აღინიშნა, კითხვარი 14 ნაწილისაგან შედგება, საიდანაც პირველი სტუდენტების შესახებ მონაცემებს მოიცავს, მეორე თავში მულტიკულტურული სენსიტიურობის ზოგადი დებულებებია გაერთიანებული. ზოგადი ნაწილი 11 დებულებისაგან შედგება და სტუდენტებისაგან მოითხოვს მულტიკულტურულ საკითხებზე საკუთარი აზრის დაფიქსირებას. დებულებებზე სტუდენტთა პასუხების გადანაწილება ქვემოთ ცხრილში არის მოცემული.

## ცხრილი 13. სტუდენტების პასუხების გადანაწილება მულტიკულტურული სენსიტიურობის ზოგად დებულებებზე

| | ზოგადი ნაწილი | კატეგორიულად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ნაწილობრივ არ ვეთანხმები | ვეთანხმები | აბსოლუტურად ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მე მსიამოვნებს განსხვავებული კულტურული წარმომავლობის ხალხთან ურთიერთობა. | 0.3 | 1.1 | 25.4 | 53.8 | 19.4 |
| 2 | ჩემთვის საინტერესოა სხვა ადამიანების მოსაზრებისა და დამოკიდებულებების მოსმენა. | 0 | .3 | 11.0 | 53.0 | 35.8 |
| 3 | უცხოეთის გავლენა ჩვენს ქვეყანაზე საფრთხეს უქმნის ჩვენს ეროვნულ იდენტობას. | 1.7 | 17.2 | 51.0 | 17.7 | 12.4 |
| 4 | მე ვერიდები ხალხს, რომელიც ჩემგან კულტურულად განსხვავებულია | 14.9 | 19.7 | 62.3 | 2.0 | 1.1 |
| 5 | კარგი იქნება, თუკი სხვადასხვა კულტურის ხალხი მოერიდება ერთმანეთთან ურთიერთობას. | 32.1 | 55.2 | 9.3 | 3.4 | 0 |
| 6 | სხვადასხვა კულტურის მატარებელი ადამიანების ქორწინება შეცდომაა. | 12.1 | 44.2 | 28.7 | 11.3 | 3.7 |
| 7 | მე დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი სხვა კულტურულ გარემოში ხანგრძლივი დროის განმავლობაში. | 5.6 | 29.3 | 37.7 | 21.4 | 5.9 |
| 8 | სხვა კულტურის მქონე ხალხი განსხვავებულად იქცევა, რადგან არ იციან ჩვენ კულტურაში ქცევის წესები. | 2.8 | 9.9 | 40.0 | 39.2 | 8.2 |
| 9 | სამეზობლოში სასურველია ცხოვრობდეს სხვადასხვა კულტურის მატარებელი ხალხი. | 3.4 | 34.1 | 42.5 | 17.5 | 2.5 |
| 10 | ქართული კულტურა მსოფლიოში საუკეთესოა. | 0.8 | 14.1 | 28.7 | 25.1 | 31.3 |
| 11 | „კარგი“ და „ცუდი“ კულტურა არ არსებობს, ყველა კულტურა ერთნაირად თვითმყოფადი და განუმეორებელია. | 1.1 | 8.2 | 18.0 | 41.4 | 31.3 |

საინტერესოა სტუდენტების დამოკიდებულებები შემდეგ დებულებასთან დაკავშირებით: „ქართული კულტურა მსოფლიოში საუკეთესოა“. სტუდენტების 85% -ზე მეტი აღნიშნულ დებულებას სრულიად ეთანხმება, ეთანხმება ან ნაწილობრივ ეთანხმება.

მომდევნო დებულება ასე ჟღერს: „არ არსებობს „კარგი“ და „ცუდი“ კულტურა, ყველა კულტურა ორიგინალური და უნიკალურია“. ამას სტუდენტების 90%-ზე მეტი ეთანხმება.

თუ ამ ორ დებულებას შევაპირისპირებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს განსხვავებული კულტურების უნიკალურობას, თუმცა საკუთარი კულტურის მიმართ ობიექტური დამოკიდებულება იკარგება და ის, „რომ ცუდი და კარგი კულტურა არ არსებობს და ყველა კულტურა ორიგინალური და უნიკალურია“, ურთიერთწინაამღდეგობაში მოდის დებულებასთან საკუთარი კულტურის საუკეთესოობასთან დაკავშირებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ სტუდენტებში მულტიკულტურული სენსიტიურობის მაჩვენებელი თავდაცვისა და ადაპტაციის საფეხურზე ძალიან დაბალია და გამოსახულია უმნიშვნელო პროცენტული მაჩვენებლით. სტუდენტების ნახევარზე მეტი (55.5%) მინიმიზაციის საფეხურზე იმყოფება, ხოლო 43.1% იმყოფება მიმღებლობის საფეხურზე.

**დიაგრამა 4. სტუდენტების მგრძნობელობა კულტურული განსხვავებულობის 12 წყაროს მიხედვით და სტუდენტების დამოკიდებულებები**



როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტუდენტებმა  კულტურული იდენტობის ფორმირების სხვადასხვა წყაროს მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებები გამოხატეს. კვლევამ აჩვენა, რომ კულტურული იდენტობის  ფორმირების ზოგიერთი წყაროს მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, სექსუალური ორიენტაცია, რელიგიური განსხვავებულობა, მოქალაქეობა და ეთნიკურობა სტუდენტების პასუხები ეთნოცენტრულობის ყველაზე დაბალ დონეზეა. ამავდროულად, ისეთი წყაროების მიმართ, როგორიცაა სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, რასობრივი განსხვავებულობა, სოციალური სტატუსი და ასაკობრივი განსვავევები, სტუდენტებმა ეთნორელატიურობის მაღალი დონე აჩვენეს და  ადაპტაცია-ინტეგრაციის საფეხურს მიაღწიეს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ნათლად ასახავს სტუდენტების დამოკიდებულებებს თითოეული წყაროს მიმართ და გვიჩვენებს მათი მულტიკულტურული სენსიტიურობის გადანაწილებას ბენეტის სკალაზე. დიაგრამა  ასევე თვალსაჩინოს ხდის წყაროების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებას და მათი შედარების საშუალებას იძლევა.

**დიაგრამა 5. პასუხების გადანაწილება  ბენეტის სკალაზე ზოგადი და 12 წყაროს მიხედვით**



რეალურად დიაგრამა წარმოგვიდგენს სტუდენტების დამოკიდებულებების ტენდენციას. თვალსაჩინოა, რომ კულტურული იდენტობის ფორმირების ზოგიერთი წყაროს მიმართ სტუდენტებს განსაკუთრებით ლოიალური დამოკიდებულება გააჩნიათ. სავარაუდოა, რომ კულტურული იდენტობის ფორმირების წყაროების მიმართ დამოკიდებულებების ამგვარი გადანაწილება უკავშირდება საქართველოს საზოგადოებაში არსებულ დამოკიდებულებებს განსხვავებების მიმართ, რომელიც საგანმანათლებლო საზოგადოების, სხვადასხვა საფეხურისა და დარგის სპეციალისტების გამოკითხვასა და ფოკუს-ჯგუფების შედეგების ანალიზის შედეგადაც გამოიკვეთა. უფრო კონკრეტულად კი 2013 წელს დაწყებითი მასწავლებლების გამოკითხვა კითხვარისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების საშუალებით, ამავე კვლევის ფარგლებში განხორციელებული ფოკუს-ჯგუფები მშობლებთან და ამ კონკრეტულ კვლევაში განხორციელებული ფოკუს-ჯგუფები უმაღლესი სასწავლებლის განათლების პროგრამის მასწავლებლებთან და ლექტორებთან ცხადყოფს, რომ ტენდენციების დონეზე მულტიკულტურული იდენტობის განსხვავებული წყაროების მიმართ დამოკიდებულება საზოგადოებაში ერთგვაროვანია. თუ საკითხს უფრო ფართო პერსპექტივიდან შევხედავთ, რეალურად შეიძლება ვისაუბროთ კულტურული იდენტობის ფორმირების რამდენიმე წყაროზე, რომელიც მეტად არის განხილული საზოგადოებაში და რომლის მიმართ მიმღებლობა და პოზიტიური დამოკიდებულება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ფონისა თუ კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, უფრო ტოლერანტულია. მაგალითად, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასა და სტატისტიკას მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, მაშინ ლოგიკური ახსნა მოეძებნება იმას, რომ სტუდენტების პოპულაციის დიდი ნაწილი მეტ მიმღებლობას ამჟღავნებს არსებული განსხვავებების მიმართ და მეტ ემპათიას გამოხატავს, ვიდრე არატრადიციული რელიგიის ან განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირთა მიმართ. აღნიშნული პერსპექტივიდან საინტერესო იქნებოდა მოცემული წყაროების თითოეული დებულებისა და გამოკითხვის შედეგების განხილვა, თუ რომელი საკითხის, პირობის ან ვითარების მიმართ არიან სტუდენტები მეტად თუ ნაკლებად სენსიტიურები.

იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო გამოკითხვის შედეგების გადანაწილება კულტურული სენსიტიურობის თითოეული წყაროს მიხედვით, გადავწყვიტეთ, გარდა საერთო შედეგებისა, რომლებიც თითოეულ დებულებაზე ქულების შეჯერების შედეგად არის მოცემული, ტენდენციები მულტიკულტურული იდენტობის თითოეული წყაროს მიხედვით მიღებული შედეგების შეჯერების საშუალებითაც წარმოგვედგინა ბენეტის სკალაზე. ქვემოთ ნაჩვენებია ხუთი დიაგრამა კვლევის დიზაინში აღწერის თანახმად მცირედ შეცვლილ ბენეტის სენსიტიურობის სკალის მიხედვით. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე განთავსებულია კულტურული იდენტობის ფორმირების წყაროები ეთნოცენტრულობის ყველაზე დაბალ - უარყოფის საფეხურზე ბენეტის სკალის მიხედვით. ცხადია, რომ სტუდენტები განსაკუთრებით არატოლერანტულ დამოკიდებულებას არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმართ ამჟღავნებენ. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეთნოცენტრიზმის ყველაზე დაბალ საფეხურზე ზოგადად სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილი იმყოფება, ხოლო ბენეტის სკალაზე საშუალო მაჩვენებლების განაწილების შემთხვევაში ეს საფეხური საერთოდ არ აისახება, ცალკე აღებული მაჩვენებელი უარყოფის ფაზაზე არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისადმი 8.2-ს პროცენტს აღწევს. აღსანიშნავია, რომ მოქალეობრივი და რელიგიური თვალსაზრისით უარყოფის მაჩვენებელი გამოხატულია 1 პროცენტით. უარყოფის საფეხურზე კულტურული იდენტობის ფორმირების სხვა წყაროებისადმი შედეგების გადანაწილების მაჩვენებელი არის სტატისტიკურად უმნიშვნელოვანი და ნულს უტოლდება (იხ. დიაგრამა ქვემოთ).

**დიაგრამა 6. წყაროს მიმართ მგრძნობელობის გადანაწილება დონეების მიხედვით-უარყოფა**




ეთნოცენტრულობის მეორე, თავდაცვის საფეხური აგრეთვე მცირედ აისახა ბენეტის სენსიტიურობის საერთო სკალაზე. მიუხედავად ამისა, განსხვავებული კულტურული იდენტობის ფორმირების სხვადასხვა წყაროსთან დაკავშირებული პასუხები ნათლად ასახავს სტუდენტების განსხვავებულ დამოკიდებულებას სხვადასხვა წყაროს მიმართ. წყარო-ების მიხედვით პასუხების შედარებისას თავდაცვის დონეზე მეორდება არატოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებული მოქალაქეობის, რელიგიურ განსხვავებულობისა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმართ. კულტურული იდენტობის ფორმირების სხვა წყაროები, რომლებიც უმნიშვნელო მაჩვენებლით გამოირჩევიან ან საერთოდ არ მოხვდნენ უარყოფის დონეზე, თავდაცვის საფეხურზე წარმოდგენილია ოდნავ მეტი პროცენტული მაჩვენებლებით. მაგალითად, კულტურული განსხვავებულობის ისეთი წყაროს მიმართ, როგორიცაა მოქალაქეობა სტუდენტების 9.3 პროცენტი იმყოფება თავდაცვის საფეხურზე, ხოლო გენდერული განსხვავებულობის წყაროს მიმართ კი - 4.8 პროცენტი. ზოგადად, ზემოთ დასახელებული წყაროები თავდაცვის დონეზე წარმოდგენილია შედარებით უფრო მაღალი მაჩვენებლებით, ვიდრე კულტურული იდენტობის ფორმირების სხვა წყაროები, თუმცა საერთო მაჩვენებლების შეჯამების შედეგად თავდაცვის საფეხურზე სტუდენტების 1 პროცენტიც კი არ არის.

**დიაგრამა 7. წყაროს მიმართ მგრძნობელობის გადანაწილება დონეების მიხედვით-თავდაცვა**




სკალაზე კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით მინიმიზაცია ეთნოცენტრიზმსა და ეთნორელატიურობას შორის მყოფი შუალედური საფეხურია, რომელიც ბენეტის მიხედვით ეთნოცენტრიზმის ყველაზე განვითარებულ საფეხურად მიიჩნევა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინტერკულტურული სენსიტიურობის ზოგადი მაჩვენებელი უმეტესად მინიმიზაციის საფეხურს შეესაბამება. შედეგები ნაჩვენებია ბენეტის სკალაზე, ხოლო კულტურული იდენტობის ის წყაროები, რომელთა მიმართაც სტუდენტები ეთნორელატივიზმის ფაზაში იმყოფებიან, მინიმიზაციის საფეხურზე დაბალი ინდექსით არის წარმოდგენილი. მაგალითად, სტუდენტები სენსიტიურები არიან რასობრივი განსხვავებულობის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ და, შესაბამისად, ამ წყაროების შემთხვევაში მათი მაჩვენებლები მინიმიზაციის დონეზე წარმოდგენილია დაბალი ინდექსით. ეთნიკურ განსხვავებულობას ამ დონეზე ყველაზე მაღალი ინდექსი (65.9%) აქვს, მას მოჰყვება რელიგიური განსხვავებულობა 60%-ით. ამავე დროს, მოქალაქეობისა და გენდერული განსხვავებულობისადმი ტოლერანტობა მინიმიზაციის დონეზე გამოსახულია მაღალი პროცენტული მაჩვენებლით. აღსანიშნავია ისიც, რომ გეოგრაფიული განსახლების მიხედვით განსხვავებულობასაც მინიმიზაციისა და მიმღებლობის საფეხურებზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს.

**დიაგრამა 8. წყაროს მიმართ მგრძნობელობის გადანაწილება დონეების მიხედვით - მინიმიზაცია**




მიმღებლობის საფეხურზე წარმოდგენილია სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი რასობრივი (65.9%), ასაკობრივი (61.4%), სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის (60.8%), ენობრივი (60.6%), ჯანმრთელობის მდგომარეობისა (60.3%) და სოციალური სტატუსის (52.1%) მიმართ დამოკიდებულებების განაწილების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული განსახლების მიმართ სენსიტიურობის მაჩვენებლით სტუდენტები იმყოფებიან უფრო მეტად მინიმიზაციის, ვიდრე მიმღებლობის დონეზე. ბუნებრივია, რომ მიმღებლობის დონეზე ნაკლები ინდექსით არის წარმოდგენილი ის წყაროები, რომელთა მიმართ სტუდენტები მკვეთრ ეთნოცენტრულ ფაზაში იმყოფებიან.

**დიაგრამა 9. წყაროს მიმართ მგრძნობელობის გადანაწილება დონეების მიხედვით - მიმღებლობა**




როგორც დიაგრამა 3 გვიჩვენებს, დებულებათა მიხედვით ქულების შეჯამების შედეგად, სტუდენტები ეთნორელატივიზმის ფაზის უმაღლეს საფეხურს ვერ აღწევენ. უფრო მეტიც, წყაროებად ჩაშლილი მონაცემების გადანაწილების შემთხვევაშიც კი ეთნორელატივიზმის ფაზის უმაღლეს საფეხურზე მულტიკულტურული იდენტობის მხოლოდ ზოგიერთი წყაროა. კერძოდ, სტუდენტების 21.7 პროცენტი იმყოფება ადაპტაცია-ინტეგრაციის დონეზე ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით განსხვავებულობის მიმართ გამოხატული ტოლერანტული დამოკიდებულებით. სტუდენტების 15.2 პროცენტი ინტეგრაცია-ადაპტაციის დონეს აღწევს რასობრივი განსხვავებულობის მიმართ გამოხატული ტოლერანტული დამოკიდებულებით. განსხვავებული სოციალური სტატუსი (3.4%), სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (2.8%) და ენობრივი განსხვავებულობა (2%) აღნიშნულ საფეხურზე დანარჩენ წყაროებთან შედარებით უფრო მაღალი, 2-3 პროცენტით არის წარმოდგენილი.

**დიაგრამა 10. წყაროს მიმართ მგრძნობელობის გადანაწილება დონეების მიხედვით-ადაპტაცია/ინტეგრაცია**




რეალურად, ბენეტის მულტიკულტურული მგრძნობელობის თითოეული საფეხურის გასაშუალოების შემთხვევაში ეთნოცენტრულ და ეთნორელატიურ ფაზებს შორის შედეგების განაწილება ქვემოთ დიაგრამაზეა მოცემული. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ დებულებების მიხედვით ქულების შეჯამების შემთხვევაში, უარყოფისა და ადაპტაცია-ინტეგრაციის ფაზები საერთოდ არ არის იდენტიფიცირებული. სწორედ ამიტომაა საინტერესო მულტიკულტურული იდენტობის წყაროების მიხედვით დებულებათა დეტალური ანალიზი და როგორც სტუდენტთა ზოგადი მულტიკულტურული მგრძნობელობის, ასევე თითოეულ წყაროსთან მიმართებით სტუდენტთა დამოკიდებულების განხილვა.

**დიაგრამა 11. სტუდენტების სენსიტიურობის გადანაწილება თითოეული საფეხურის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით**



როგორც დიაგრამაზე ჩანს, პასუხები დაჯამებული და განაწილებულია არა თითოეული დებულებების ქულების მიხედვით, არამედ ფაზების საფეხურებრივი გადანაწილების გასაშუალოებით. სტუდენტების სენსიტიურობის მაჩვენებელი ბენეტის სკალის ყველა საფეხურზეა მოცემული. უარყოფის საფეხურზე იმყოფება გამოკითხული სტუდენტების 1.1 პროცენტი. ეთნოცენტრიზმის მომდევნო, თავდაცვის საფეხური უფრო მაღალი - 7.4 პროცენტითაა წარმოდგენილი. მომდევნო ორი, მინიმიზაციისა და მიმღებლობის საფეხურები თითქმის ერთნაირად, 40-ზე მეტი პროცენტითაა გამოსახული. ეთნორელატიურობის ყველაზე მაღალი, ადაპტაცია/ინტეგრაციის საფეხური სტუდენტების 4.5 პროცენტით გამოისახება.

მნიშვნელოვანია როგორც ინტერკულტურული სენსიტიურობის დონეების ზოგადი ანალიზი, ასევე მონაცემების დეტალურად განხილვა კულტურული იდენტობის ფორმირების თითოეული წყაროს მიხედვით. კითხვარის ცალკეული დებულებისა და მიღებული შედეგების გადანაწილების ანალიზი საშუალებას იძლევა უკეთ დავინახოთ სტუდენტების მულტიკულტურული პერსპექტივები და შესაბამისად, კონკრეტული დასკვნები და რელევანტური რეკომენდაციები შევიმუშაოთ როგორც ზოგად, ასევე სხვადასხვა წყაროსთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. ქვემოთ წარმოდგენილია ცალკეული დებულებების აღწერა და ანალიზი კულტურული იდენტურობის წყაროების მიხედვით. უფრო კონკრეტულად კი ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია სტუდენტების დამოკიდებულებები დებულებაზე **„უცხოეთის გავლენა ჩვენს ქვეყანაზე საფრთხეს უქმნის ჩვენს ეროვნულ იდენტობას“.** სტუდენტების 51 პროცენტი თვლის, რომ უცხოეთის გავლენა საშიშია ეროვნული იდენტობისათვის ამასთანავე, 17.7 პროცენტი ეთანხმება, ხოლო 12.4 პროცენტი აბსოლუტურად ეთანხმება ამ დებულებას.

**დიაგრამა 12. პასუხების გადანაწილება დებულებაზე: „უცხოეთის გავლენა ჩვენს ქვეყანაზე საფრთხეს უქმნის ჩვენსეროვნულ იდენტობას“**




ვფიქრობთ, საინტერესო იქნება აღნიშნული კულტურული იდენტობის სხვა წყაროების ფარგლებში შედგენილი დებულებების განხილვაც. კონკრეტული დებულებების შედეგების ანალიზი შესაძლებელს ხდის სხვადასხვა წყაროს მიმართ არსებული დამოკიდებულებების განმაპირობებელი მიზეზების გაგებას. შედეგების ანალიზი გვაძლევს საშუალებას, სტუდენტების პასუხები განვიხილოთ სხვადასხვა პერსპექტივიდან და გავითვალისწინოთ ისტორიული ფონი და კონტექსტი, სადაც დებულებებს კონტექსტიდან გამომდინარე განსხვავებული დატვირთვა შეიძლება გააჩნდეს.  მაგალითად, იმ თავში, რომელშიც არის მსჯელობა ენის, როგორც კულტურული იდენტურობის წყაროსთან დაკავშირებით, წარმოდგენილია შემდეგი ორი დებულება:

1. „ინგლისური ენა საფრთხეა ქართულისათვის“, 2. „რუსული არ უნდა ისწავლებოდეს საქართველოში“.

**დიაგრამა 13. შედეგების განაწილება ენობრივი განსხვავებულობის წყაროს ორი დებულების მიხედვით**




დებულებები თავისი შინაარსობრივი გზავნილის გარდა, განსხვავებულია შეკითხვის დასმის ფორმითაც. პირველ დებულებაში პირდაპირ არის

საუბარი, რომ კონკრეტული ენა საფრთხეა სტუდენტების უმრავლესობის მშობლიური ენისათვის - ქართულისათვის. მეორე შემთხვევაში კი საუბარია, რომ კონკრეტული ენა ზოგადად არ უნდა ისწავლებოდეს საქართველოს სკოლებში. მეორე შემთხვევაში არ არის დაზუსტებული, რატომ არ უნდა ისწავლებოდეს ენა  და შესაბამისად, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, თავად განსაზღვრონ, რა არგუმენტებს შეიძლება ეფუძნებოდეს ამ დებულების მართებულობა და შესაბამისად, ინტერპრეტაციაც საკუთარი გამოცდილებისა და პირადი დამოკიდებულების საფუძველზე გააკეთონ. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ორივე დებულებასთან მიმართებით სტუდენტები მკვეთრად აფიქსირებენ, რომ არ ეთანხმებიან (პირველ დებულებას არ ეთანხმება სტუდენტთა 51% და მეორე დებულება არ ეთანხმება სტუნდეტთა თითქმის 57%) ან აბსოლუტურად არ ეთანხმებიან (პირველ დებულებას კატეგორიულად არ ეთანხმება 12.1, ხოლო მეორეს კი კატეგორიულად არ ეთანხმება მეტი - 33%). შესაბამისად, განსხვავებულია იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც დებულებებს ეთანხმებიან. ინგლისურს, როგორც საფრთხეს ქართულისათვის სტუდენტების 36.9% ეთანხმება, ხოლო მეორე დებულებას რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით კი მხოლოდ 10.2%. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტუდენტების ერთ მესამედზე მეტი ინგლისურს ქართულისათვის საფრთხედ აღიქვამს, ხოლო სტუდენტთა 10% კი ეთანხმება რუსულის სწავლების შეწყვეტას სკოლაში. მიუხედავად  იმისა, რომ ეს დებულებები თავისთავად არ წარმოგვიდგენს ორი უცხოური ენისადმი ერთსა და იმავე ჭრილში სტუდენტთა დამოკიდებულების შედარების შანსს, იძლევა სხვა ტიპის დაშვებების გაკეთების საშუალებას:

(1) სტუდენტების უფრო მეტ ნაწილს გაცნობიერებული აქვს, რომ უცხო ენის შესწავლა თავისთავად დადებითი მოვლენაა.

(2) ამავდროულად სტუდენტების 36%-ს, ანუ იმ ნაწილსაც, რომელიც უცხო ენის შესწავლას პოზიტიურად უყურებს და მიაჩნია, რომ რუსული სკოლაში უნდა ისწავლებოდეს, მშობლიურისგან განსხვავებული ენა საფრთხედ მიაჩნია.

შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ დებულებებისადმი, რომლებიც სტუდენტების პირად ენობრივ და სოციალურ გამოცდილებას ეფუძნება (სკოლაში უცხო ენის სწავლების საკითხი), სტუდენტები მეტ

სენსიტიურობას იჩენენ, ვიდრე იმ დებულებების მიმართ, რომლებშიც მათ პიროვნული გამოცდილება ნაკლებად გააჩნიათ (ინგლისური ენის ნეგატიური გავლენა ქართული ენაზე).

უცნობია, როგორ გადანაწილდებოდა სტუდენტების დამოკიდებულება ამ ორი ენის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ დებულებები პირიქით იქნებოდა ფორმულირებული, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტუდენტების მაღალსენსიტიურობას მკულტურული იდენტობის წყაროსთან მიმართებით მეტად განაპიროებებს პირადი გამოცდილება, ვიდრე ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-სოციალური ფონი. შესაბამისად, მსგავსი ტიპის ასპექტების ანალიზი კარგ მასალას წარმოადგენს უმაღლესებისათვის, რომ სასწავლო კურსების შემუშავების დროს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად არის დაკავშირებული სტუდენტების ინტერკულტურული ცნობიერების გაფართოების, ცოდნის გაღრმავებისა ან გამოცდილების შეძენისაკენ, გათვალისწინებული იყოს პიროვნულ ფსიქო-სოციალურ ასპექტებზე მუშაობის სტრატეგია, რომელიც გავლენას ახდენს სტუდენტების აღქმული ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ფორმირებაზე.

საკმაოდ მკვეთრი გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება დაფიქსირდა აფხაზური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების მართებულობასთან დაკავშირებითაც. გამოკითხული სტუდენტების 77.2% ფიქრობს, რომ ეს გადაწყვეტილება დიდი შეცდომა იყო.

სტუდენტების დაახლოებით 21% აბსოლუტურად ეთანხმება, 30.7% ეთანხმება და 25.4 პროცენტი ნაწილობრივ ეთანხმება დებულებას, რომ „საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება დიდი შეცდომაა“. ამ შემთხვევაში კონკრეტული ენა და მისი სტატუსი აღიქმება არა როგორც კულტურული იდენტურობის მძლავრი ინსტრუმენტი, არამედ იდენტიფიცირებულია კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფებთან. შესაბამისად, ამ ენისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე გავლენას ქვეყანაში არსებულ პოლიტიკური მოვლენები ახდენს.

ენასთან მიმართებით მოცემული დებულებებიდან საინტერესოა ასევე ენის, როგორც მოქალაქეობის სტატუსის განმსაზღვრელი

ფენომენის გაანალიზებაც: ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია, რომ გამოკითხული სტუდენტების 43.9% სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება დებულებას: „იმ პირებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას, უნდა ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა“.

**დიაგრამა 14. პასუხების გადანაწილება დებულებაზე: „იმ პირებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას, უნდა ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა“**




სხვადასხვა დებულებების გაანალიზება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ენის, როგორც კულტურული იდენტობის მაფორმირებელი წყაროსადმი, სტუდენტებს განსაკუთრებით ეთნოცენტრული დამოკიდებულება მაშინ გააჩნიათ, თუ დებულებები სახელმწიფო ენის მნიშვნელობის და გავლენის პერსპექტივიდან არის მოცემული, რომელიც სავარაუდოდ, გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობისათვის მშობლიურ ენასაც წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ კითხვარი არ მოიცავდა კითხვას სტუდენტების მშობლიური ენის შესახებ, სტუდენტების საერთო გადანაწილება განათლების პროგრამებში ამგვარი ვარაუდის გამოტანის საშუალებას იძლევა.

იმავე ტიპის დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს ის დებულებები, რომლებიც მულტიკულტურული პერსპექტივიდან სტუდენტთა მაღალ მიმღებლობას და სენსიტიურობას აჩვენებს. დებულებას, რომელიც ქართულ ლოკალურ ენებს ეხება და რომელიც ამ ენების კულტურული მრავალფეროვნების მაჩვენებლად განხილვისა და მოფრთხილების მესიჯს ატარებს, სტუდენტების მხოლოდ 3% არ ეთანხმება, ხოლო დიდი უმრავლესობა კი ეთანხმება ან აბსოლუტურად ეთანხმება.

**დიაგრამა 15. პასუხების გადანაწილება დებულებაზე: „მეგრული, სვანური და ლაზური ენები ქართული კულტურის სიმდიდრეა, რასაც უნდა მოვუფრთხილდეთ“**




კითხვარის მეოთხე თავში, სადაც კულტურული იდენტობის წყაროს - ეთნიკურ განსხვავებასთან დაკავშირებული დებულებები იყო მოცემული, სტუდენტების დამოკიდებულებები სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით სხვადასხვაგვარად გადანაწილდა: სტუდენტების თითქმის 70% თვლის, რომ შერეული ეთნიკური ჯგუფების ოჯახებში გაზრდილი ბავშვი კარგავს საკუთარ ქართულ იდენტობას.

**დიაგრამა 16. პასუხების გადანაწილება დებულებაზე „შერეული ეთნიკური ჯგუფების ოჯახებში გაზრდილი ბავშვი კარგავს საკუთარ ქართულ იდენტობას“**




სტუდენტების 49.6% აბსოლუტურად ეთანხმება, ეთანხმება ან ნაწილობრივ ეთანხმება, რომ საქართველოში მხოლოდ ქართველები უნდა ცხოვრობდნენ, სხვა ეთნიკური ჯგუფები კი საკუთარ ისტორიულ სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ. ასევე სტუდენტების 60 პროცენტზე მეტი სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება დებულებას, რომ აფხაზებს და ოსებს ძალიან ბევრი დავუთმეთ და გავათამამეთ.

საინტერესოა ამგვარი გადანაწილების კვალობაზე სტუდენტების პოზიცია საკითხზე - „ქართველებმა მეტი უნდა იცოდნენ საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურისა და ისტორიის შესახებ“; ამას 89 პროცენტი ეთანხმება.

„საქართველოს სიმდიდრე მისი ეთნიკური მრავალფეროვნებაა“, - ამ დებულებას 65.3% მეტ-ნაკლები ინტენსივობით ეთანმხმება, ხოლო 29 პროცენტი კი არ ეთანმხმება.

**დაიგრამა 17-18. სტუდენტთა პასუხების გადანაწილება დებულებებზე საქართველოში არსებული ეთნიკური ჯგუფებისა და ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის ფლობასთან დაკავშირებით**




საერთო ჯამში, ეთნიკური მრავალფეროვნებისადმი საქართველოში სტუდენტების დამოკიდებულება მინიმიზაციის საფეხურზე ყველაზე ინტენსიურია, სტატისტიკურად უმნიშვნელოვანი პროცენტით კი უარყოფისა და ადაპტაცია-ინტეგრაციის საფეხურებიც არის გამოსახული. მთლიანობაში, სტუდენტების 75%-ზე მეტი ეთნოცენტრიზმის ფაზაში იმყოფება.

**დიაგრამა 19. ეთნიკური მრავალფეროვნების მიმართ დამოკიდებულების გადანაწილება ბენეტის სკალაზე**




საკმაოდ საინტერესოა მოქალაქეობის, როგორც კულტურული იდენტობის წყაროს თავში გაერთიანებულ დებულებებზე დაფიქსირებული პასუხები, სადაც საუბარია უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებებზე საქართველოში, მაგალითად, საქართველოს მიწების გასხვისება სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე ან საცხოვრებლად შემოსული უცხოელების კონტროლი. დამოკიდებულება მკვეთრად ეთნოცენტრულია იმ დებულებებთან შედარებით, რომლებიც პირადი დამოკიდებულების დაფიქსირებას მოითხოვს სტუდენტებისგან.

საინტერესოა  პასუხების გადანაწილება ორ განსხვავებულ დებულებაზე. პირველი დებულების თანახმად:

„ძალიან მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს საქართველოში საცხოვრებლად შემოსული უცხოელების რაოდენობაზე“. ამ დებულებას ნაწილობრივ ეთანხმება სტუდენტების 34.1%, ეთანხმება 25.4 პროცენტი და აბსოლუტურად ეთანხმება 19.2%.

**დიაგრამა 20-21. სტუდენტთა პასუხების გადანაწილება დებულებაზე: „ძალიან მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს საქართველოში საცხოვრებლად შემოსული უცხოელების რაოდენობაზე“ და „უცხოელთა მიგრაცია საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია“**







რეალურად, სტუდენტთა 80% მდე იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საცხოვრებლად შემოსული უცხოელთა ჯგუფების რაოდენობა უნდა კონტროლდებოდეს. იმავე თავშია მოცემული დებულება: „უცხოელთა მიგრაცია საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია,“ რომელსაც სტუდენტების 54 პროცენტზე მეტი ასევე ეთანხმება. რეალურად რთული სავარაუდოა, რა პრინციპით პასუხობენ ერთი და იგივე სტუდენტები უცხოელთა საქართველოში მიგრაციის შესახებ ორ დებულებას არაერთგვაროვნად. სავარაუდოა, რომ დებულება, რომელიც აკონკრეტებს, რომ პროცესი უცხოეთის მოქალაქეების დამკვიდრებას (საცხოვრებლად გადმოსვლას) გულისხმობს, სტუდენტებში იწვევს იმის განცდას, რომ ამგვარი პროცესები კარგად უნდა იყოს გაკონტროლებული. მეორე დებულება არ აკონკრეტებს, რა უგულისხმება უცხოელთა მიგრაციაში და ამასთანავე, დებულება ამბობს, რომ ამგვარი პროცესი მისასალებელია, ანუ დებულების სტუქტურა პროცესისადმი პოზიტიური დამოკიდებულების კუთხითაა მოცემული. კვლევა არ იძლევა საშუალებას გავარკვიოთ, რას გულისხმობენ სტუდენტები, როდესაც თვლიან, რომ საცხოვრებლად გადმოსვლის პროცესი უნდა კონტროლდებოდეს. თუმცა, ამ ორი დებულების შედარების მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სტუდენტებს არ გააჩნათ კარგად ჩამოყალიებებული დამოკიდებულება სხვა ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში დასახლებასთან დაკავშირებით. კულტურული იდენტობის ამ წყაროს ფარგლებში მოცემულ დებულებებზე გადანაწილებული პასუხები მთლიანობაში გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ, რომ სტუდენტები ნაკლებ ტოლერანტობას ავლენენ უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებებთან მიმართებაში და ზოგადად ნაკლებად მგრძნობიარენი არიან ამ წყაროს მიმართ კულტურული იდენტობის სხვა წყაროებთან შედარებით.

**დიაგრამა 22. მოქალაქეობის მიმართ დამოკიდებულების გადანაწილება ბენეტის სკალაზე**




როგორც დიაგრამიდან ჩანს, მოქალაქეობასთან დაკავშირებით სტუდენტები მკვეთრად გამოხატულ ეთნოცენტრულ ფაზაში იმყოფე-ბიან. ამ წყაროს მიმართ ეთნორელატივიზმი მხოლოდ მიმღებლობის საფეხურზეა გამოხატული და სრული გადანაწილების 15%-ზე ნაკლებს შეადგენს. ამრიგად, განსხვავებული მოქალაქეობის მიმართ მგრძნობელობა სტუდენტებში მკვეთრად დაბალია განსაკუთრებით კი იმ დებულებებზე, როდესაც სხვა ქვეყნის მოქალაქეების უფლებებზეა საუბარი საქართველოსთან მიმართებით.

სტუდენტების დამოკიდებულება ასევე მკვეთრად უარყოფითია განსხვავებული რელიგიის მიმართაც. ქვემოთ მოცემულია ცხრილი დებულებებისა, რომლებზეც სტუდენტების პასუხები პროცენტულადაა გადანაწილებული.

**ცხრილი 14. სტუდენტების პასუხების გადანაწილება რელიგიურ განსხვავებებთან, როგორც კულტურული იდენტურობის განმსაზღვრელ წყაროზე**

| თავი მეშვიდე | კატეგორიულად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ნაწილობრივ არ ვეთანხმები | ვეთანხმები | აბსოლუტურად ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|---|
| ყველა ეთნიკურად ქართველი ქართველია, რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად. | 5.4 | 13.2 | 22.5 | 41.7 | 17.2 |
| საქართველოს ყველა მოქალაქო თანასწორია, რელიგიურ აღმსარებლობას მნიშვნელობა არ აქვს. | 5.1 | 6.5 | 18.6 | 44.5 | 25.4 |
| დეპორტირებული მაჰმადიანი მესხების დაბრუნება საქართველოში საშიშია მათი რელიგიური რწმენის გამო. | 6.5 | 45.1 | 35.2 | 9.3 | 3.9 |
| არატრადიციული რელიგია (სექტები) საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოებრიობას | 1.4 | 13.5 | 28.2 | 34.4 | 22.5 |
| მართლმადიდებლები პრივილეგირებულნი უნდა იყვნენ საქართველოში | 4.5 | 27.3 | 18.3 | 25.4 | 24.5 |
| განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანების მიერ ოჯახის შექმნა მიუღებელია | 3.9 | 27.0 | 26.2 | 27.0 | 15.8 |
| ადამიანის კულტურულ -კოგნიტურ განვითარებასა და რელიგიურ აღმსარებლობას შორის ურთიერთკავშირი არ არსებობს. | 13.2 | 47.6 | 23.4 | 13.8 | 2.0 |

ცხრილში საკმაოდ საინტერესო ტენდენცია შეინიშნება: დებულებას ქართველების ეთნიკური ნიშნით იდენტიფიცირებაზე რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად 80 პროცენტზე მეტი აბსოლუტურად ეთანხმება, ეთანხმება ან ნაწილობრივ ეთანხმება, ასევე ეთანხმება თითქმის 90% დებულებას საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორობაზე რელიგიური მრწამსის მიუხედავად, თუმცა, 48 პროცენტზე მეტს მიაჩნია, რომ დეპორტირებული მესხების დაბრუნება საქართველოში საშიშია

მათი რელიგიური რწმენის გამო, ხოლო 68.2 პროცენტი კი ეთანხმება დებულებას საქართველოში მართლმადიდებლების პრივილეგირების შესახებ. ასევე დაუშვებლად მიაჩნიათ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანების მიერ ოჯახის შექმნა გამოკითხულთა 69 პროცენტს; მხოლოდ 39.2 პროცენტი მიიჩნევს, რომ ადამიანის კულტურულ და კოგნიტურ განვითარებასა და რელიგიურ აღმსარებლობას შორის ურთიერთკავშირი არ არსებობს. ყველაზე მკვეთრი უარყოფითი განწყობა დაფიქსირდა არატრადიციული რელიგიების (სექტების) მიმართ. სტუდენტთა 85%-ზე მეტი ამ რელიგიებს საშიშროებად აღიქვამს ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.

რეალურად, რელიგიური აღმსარებლობის მიმართ სტუდენტები ყველაზე მკვეთრად აფიქსირებენ დეკლარირებული დებულებების მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას იმ ფონზე, რომ სხვა ნებისმიერ კონკრეტულ მოცემულობასთან დაკავშირებულ დებულებებზე სტუდენტთა მკვეთრად ეთნოცენტრული დამოკიდებულება ვლინდება.

**დიაგრამა 23. რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ დამოკიდებულების გადანაწილება ბენეტის სკალაზე**




მოქალაქეობის, როგორც კულტურული იდენტობის წყაროს მიმართ დამოკიდებულებების გადანაწილებისგან განსხვავებით, რელიგიური მრავალფეროვნების სკალაზე გამოხატულია ადაპტაციის/ინტეგრაციის საფეხურიც, რომელიც ეთნორელატივიზმის ფაზის უმაღლესი საფეხურია ბენეტის სკალაზე, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ წყაროში მოცემული 7 დებულებიდან 2 დეკლარაციული ხასიათისაა და საქართვე-

ლოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო დეკლარაციებიდან პირდაპირ გადმოტანილ მოცემულობას წარმოადგენს, ამგვარი გადანაწილება ლოგიკურია, მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად. საერთო ჯამში, რელიგიური განსხვავებების მიმართ სტუდენტთა 76.6% ეთნოცენტრულ ფაზაში იმყოფება და მხოლოდ 20.3 პროცენტია მიმღებლობისა და 3.1% ადაპტაცია-ინტეგრაციის საფეხურებზე.

რეალურად, დებულებების ხასიათი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თითოეულ მათგანზე სტუდენტის დამოკიდებულებას. ამგვარი გავლენა რამდენიმე ნიშნით შეიძლება ხასიათდებოდეს;

1. დეკლარაციული ხასიათის დებულებები, რომლებიც ერთგვარად დამკვიდრებულია საზოგადოებაში, როგორც მოცემულობა, რომლის ტირაჟირება ფართოდ ხდება მასმედიის საშუალებით (მის ჭეშმარიტებას კითხვის ნიშნის ქვეშ არავინ აყენებს). ამგვარი დებულებები სტუდენტებშიც პოზიტიურად არის აღქმული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამგვარ დებულებებზე სტუდენტებმა იციან, „სწორად" როგორ უნდა უპასუხონ.
2. დებულებები, რომლებიც სტუდენტების პირად გამოცდილებასთანაა დაკავშირებული, პირველ პირშია მოცემული და სტუდენტებისგან პირად გამოცდილებასა და აღქმულ ღირებულებებზე დაფუძნებული განწყობების გადმოცემას მოითხოვს.
3. დებულებები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ-კულტურულ ფონთან, საზოგადოებისა და მასმედიის მიერ ფართოდ განხილულ საკითხებს მეტ-ნაკლებად ეხება. ამ საკითხებისადმი პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ხდება დომინანტური და განსხვავებული საზოგადოებრივი შეხედულებების ფონზე.

თითოეული დებულების დეტალური შესწავლა და ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სტუდენტების ინტერკულტურული დამოკიდებულებების ფორმირებაზე და, შესაბამისად, სწორად დაგეგმილი სასწავლო გეგმის, კურსებისა და სწავლების მიდგომების საშუალებით სწორ მიმართულებას აძლევს

სტუდენტების პროფესიული და გამჭოლი კომპეტენციებისა და ცოდნის განვითარებას.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კულტურული იდენტობის ფორმირების წყაროების მიმართ სტუდენტებს შეიძლება არ ჰქონდეთ მკვეთრად გამოხატული ზოგადი ეთნოცენტრული დამოკიდებულება, თუმცა ეს ფაქტი არ გამორიცხავს წყაროსთან მიმართებით სხვადასხვა ტენდენციების არსებობას.

რასობრივი განსხვავებისადმი, როგორც კულტურული იდენტურობის წყაროს მიმართ, სტუდენტების დამოკიდებულება სკალაზე ეთნორელატიური ფაზის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

**დიაგრამა 24-25. რასობრივი განსხვავებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი დამოკიდებულების გადანაწილება ბენეტის სკალაზე**







დიაგრამაზე კარგად ჩანს, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი ეთნორელა-ტიურ ფაზაში იმყოფება რასობრივი განსხვავებებისა და შეზღუდული ფიზიკური მდგომარეობის მიმართ. კულტურალიზმის იდენტობის ამ ორი წყაროს მიმართ ეთნორელატიური დამოკიდებულება იმ ფონზე, როდესაც სხვა წყაროების მიმართ ამგვარი მგრძნობელობა არ ფიქსირდება, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სტუდენტთა სხვადასხვა წყაროს მიმართ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს და ამგვარ დამოკიდებულებებს სხვადასხვა საფუძველი უნდა გააჩნდეს. დიაგრამაზე თვალსაჩინოა, რომ სტუდენტების უმრავლესობა ეთნორელატივიზმის ფაზის მიმღებლობის საფეხურზე იმყოფება რასობრივი განსხვავებულობის მიმართ (65.9%). ასევე მაღალი

პროცენტული მაჩვენებელი აქვს ადაპტაციის/ინტეგრაციის საფეხურს (15.2%). თუმცა, თუ იდენტობის წყაროს ფარგლებში გაერთიანებულ დებულებებს განვიხილავთ, საინტერესო ტენდენციებს დავინახავთ; დებულებას „განსხვავებული რასის ადამიანები საერთო ოჯახებს არ უნდა ქმნიდნენ“ სტუდენტების 46%-ზე მეტი სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება, ხოლო დებულებას „თეთრკანიანები სხვა რასობრივ ჯგუფებზე გაცილებით ნიჭიერები არიან.“ - სტუდენტთა 20%-ზე მეტი. დებულებას „ჩვენგან განსხვავებული რასის წარმომადგენლებს პატივისცემით უნდა მოვექცეთ.“ - სტუდენტების 91%-ზე მეტი ეთანხმება. ხოლო დებულებას „ყველა ადამიანი თანასწორია, რასობრივ განსხვავებას მნიშვნელობა არ აქვს.“ - 98%-ზე მეტი. რეალურად, სხვადასხვა დებულებებზე პასუხების გადანაწილება გვაჩვენებს, რომ სტუდენტების დამოკიდებულება რასობრივი განსხვავებების მიმართ არ არის ერთმნიშვნელოვნად და მკვეთრად ეთნორელატიური. იმ შემთხვევებში, როდესაც დებულება დეკლარირებული ჭეშმარიტების ფორმით არის მოცემული, სტუდენტების ეთნორელატივიზმი ძალიან მაღალია. საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვისას კი, არაერთგვაროვანი. ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კულტურული იდენტობის ამ წყაროს მიმართ, რომელთანაც სტუდენტებს შედარებით ნაკლები პერსონალური გამოცდილება შეიძლება გააჩნდეთ ქვეყნის მოსახლეობის რასობრივი ჰომოგენურობის გათვალისწინებით, დამოკიდებულებები მეტად ეფუძნება დასწავლილ ღირებულებებს.

მეორე მხრივ, მაღალი მგრძნობელობა შეზღუდული ფიზიკური მდგომარეობის მიმართ გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ის წყაროები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ემპათიურობას ჰპოვებენ, რომლებთანაც სტუდენტებს მეტი პერსონალური შეხება ჰქონიათ და რომელთა შესახებ ფაქტებს დაფუძნებული ინფორმაცია და ცოდნა გააჩნიათ, ( იმის გათვალისწინებით, რომ ყველა მიზნობრივ სასწავლებელში მასწავლებლის პროგრამას გააჩნია ინკლუზიური განათლების კურსი), სტუდენტთა ეთნორელატიური დამოკიდებულებით გამოირჩევიან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კულტურული იდენტობის კონკრეტული წყაროების მიმართ განსხვავება თითოეული დებულების დონეზეც

განსხვავებულია. ამისი თვალნათელი მაგალითია პასუხების გადაწილება გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ქალისა და მამაკაცის ფუნქციებისა და შესაძლებლობების მიმართ დამოკიდებულებების თვალსაზრისით. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე მამაკაცისა და ქალის ფუნქციების მკვეთრად გამიჯვნას გამოკითხული სტუდენტების 81%-ზე მეტი სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება. სტუდენტების უმრავლესობა მკვეთრ ზღვარს ავლებს მამრობით და მდედრობით სქესს შორის პრაქტიკული საქმიანობისა და ფუნქციების გადანაწილების თვალსაზრისით.

**დიაგრამა 26. გადანაწილება დებულებაზე: „ქალს თავისი ფუნქცია აქვს, მამაკაცს თავისი. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს“**




მომავალი მასწავლებლების პერსპექტივიდან ასევე საინტერესოა ამ თავში შესული ორი დებულების განხილვაც, რომელიც გოგონა და ბიჭი მოსწავლეების შესაძლებლობებს მიჯნავს:

**დიაგრამა 27. განაწილება დებულებაზე: „როგორც წესი, ბიჭები ზარმაცები არიან“ და „გოგონები, როგორც წესი, უფრო შრომისმოყვარენი არიან, ვიდრე ბიჭები“**



გამოკითხვამ გვაჩვენა, რომ მომავალი მასწავლებლების 75-79% მოსწავლეების თვისებებს განსაზღვრავს მხოლოდ მათი სქესობრივი განსხვავების მიხედვით.

**დიაგრამა 28. განაწილება დებულებაზე: „როგორც წესი, ბიჭები გოგონებზე უფრო ნიჭიერები არიან ფიზიკასა და მათემატიკაში“**




სქესობრივი ნიშნით განსხვავებული შესაძლებლობების გამიჯვნას კიდევ ერთხელ მკაფიოდ ხაზს უსვამს ზემოთ მოცემულ დიაგრამაში „ბიჭები გოგონებზე უფრო ნიჭიერები არიან ფიზიკასა და მათემატიკაში“ გადანაწილებული პასუხები. სტუდენტთა 70%-ზე მეტი სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება მოსაზრებას ბიჭების ფიზიკასა და მათემატიკაში უკეთეს მონაცემებთან დაკავშირებით. სქესობრივი განსხვავების მიმართ ამგვარი სუბიექტური დამოკიდებულების ფონზე, საინტერესოა ის მაღალმგრძნობელობა, რომელიც კვლავ ბავშვებს ეხებათ, ოღონდ ჯანმრთელობის მდგომარეობის განსხვავებების კუთხით. ამ თავში მოცემული ოთხი დებულებიდან ოთხივეზე პოზიტიური დამოკიდებულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელია 83.2%. იმ წყაროებიდან, რომლებიც სტუდენტებში შედარებით მაღალი ან მაღალი მგრძნობელობით ხასიათდებიან, საინტერესო გადანაწილებაა ასევე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და სოციალური სტატუსის, როგორც კულტურული იდენტობის წყაროების მიმართ. კერძოდ კი სათანადო თავში გაერთიანებული დებულებები, რომლებიც მდიდარი და სოციალური სირთულეების მქონე ადამიანების პერსპექტივიდან არის მოცემული, დამოკიდებულებით ერთმანეთისგან განსხვავდებიან.

დებულებას - „ვერ ვიტან მდიდარ ადამიანებს/ მათ ყოველგვარი ადამიანური ღირებულება აქვთ დაკარგული“ - სტუდენტების 44.2 პროცენტი სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება; დებულებას - „მდიდარი ბავშვები ისე უყურებენ მასწავლებელს, თითქოს ის მათი მოსამსახურე იყოს“ - სტუდენტთა 48.7%; „მდიდრები ძუნწები არიან, ღარიბები კი - ხელგაშლილები“ - ამ დებულებას სტუდენტთა 61.1% სხვადასხვა ინტენსივობით მართებულად მიიჩნევს. ის დებულებები, რომლებიც შეჭირვებული ადამიანების პერსპექტივიდან არის მოცემული, მაღალი მგრძნობელობით გამოირჩევა. „სოციალურად შეჭირვებული ადამიანისგან კეთილგონიერებას არ უნდა ელოდებოდე“ - ამ დებულებას სტუდენტთა 96.4% არამართებულად მიიჩნევს. „მე ვმეგობრობ როგორც შეძლებულ, ასევე ხელმოკლე ადამიანებთან“ - ამ დებულებას ასევე სტუდენტთა 96.4% მიიჩნევს რელევანტურად. საინტერესოა, რომ დებულებას - „სიღარიბეში გაზრდილთ არასრულფასოვნების კომპლექსი მთელი ცხოვრება აწუხებთ, რაოდენ წარმატებულებიც არ უნდა გახდნენ“- სტუდენტთა მხოლოდ 55 პროცენტი არ ეთანხმება, ხოლო 45 კი ეთანხმება.

რეალურად, სოციალურ-კულტურული განსხვავებების მიმართ სტუდენტები მაღალი მგრძნობელობით ხასიათდებიან, თუმცა შეიძლება ვისაუბროთ მცირედ განსხვავებებზე, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების მიმართ ფიქსირდება.

**დიაგრამა 29. განაწილება დებულებაზე:**
**„ყველა მოსწავლეს ეტყობა, როგორი ოჯახიდანაა“**



როგორც დიაგრამაზე კარგად ჩანს, სტუდენტების მეტი ნაწილი მიმღებლობის საფეხურზე იმყოფება, მცირე კი ადაპტაცია-ინტეგრაციის საფეხურზე. უარყოფის საფეხური ამ წყაროსთან მიმართებით საერთოდ არ ფიქსირდება. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლის განათლების პროგრამები ნაკლებად არის ორიენტირებული განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური მოცემულობის ფარგლებში ეფექტური სწავლების მეთოდებზე ან რაიმე ტიპის თეორიულ, ფოკუსირებულ საკითხებზე,სტუდენტების მაღალი მიმღებლობა პერსონალური გამოცდილებით შეიძლება იყოს განპირობებული, რომელიც ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ კონტექსტთან არის დაკავშირებული. იმავე ტიპის დასკვნის საშუალებას იძლევა ასევე სოციალური სტატუსისა და ასაკობრივი განსხვავებების მიმართ სტუდენტების მიერ გამოხატული დამოკიდებულებები.

მიუხედავად ამგვარი მსგავსებისა, მართებულად მივიჩნიეთ რამდენიმე დებულების განხილვა ცალკე ზემოთ ხსენებული წყაროების თავებიდან. კერძოდ, საკმაოდ განსხვავებულია სოციალური სტატუსის მიმართ დამოკიდებულება ერთიდან მეორე დებულებამდე. ქვემოთ მოცემულია დიაგრამა, სადაც კარგად იკვეთება სტუდენტების მიერ ოჯახის ინსტიტუციის გავლენის აღიარება ბავშვზე. სტუდენტების 81 პროცენტი მეტ-ნაკლებად ეთანხმება ქვემოთ დიაგრამაზე მოცემული დებულების სისწორეს.

**დიაგრამა 30. განაწილება დებულებაზე:**
**„ყველა მოსწავლეს ეტყობა, როგორი ოჯახიდანაა"**




ასევე მაღალია ოჯახის გავლენის აღიარება დებულებებში: „ზოგჯერ მიკვირს ასეთი მშობლების შვილი ასეთი კარგი მოსწავლე როგორაა" (ეთანხმება 54%) და „ზოგიერთი მოსწავლე ისე იქცევა, ვერ წარმოიდგენ,

თუ ასეთი პატივსაცემი ოჯახის შვილია" (ეთანხმება 86%), რაც რეალურად გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სტუდენტებისათვის ოჯახურ ინსტიტუციას პიროვნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლი აქვს და იგი პიროვნების ავ-კარგიანობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. ქვემოთ მოცემული დიაგრამაში სოციალური სტატუსის, როგორც კულტურული იდენტობის წყაროსადმი დამოკიდებულებების გადანაწილებაა მოცემული. ამ წყაროს მიმართ დამოკიდებულებები სკალის ყველა საფეხურზეა მოცემული, თუმცა უარყოფის საფეხურზე სტატისტიკურად უმნიშვნელო ნიშნულით 0.3% არის გამოსახული. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისგან განსხვავებით, მინიმიზაციის საფეხური სოციალურ სტატუსთან მიმართებით უფრო ინტენსიურია და 42.5%-ს შეადგენს, ხოლო მიმღებლობა კი 52%-ზე მეტ სტუდენტში გვხვდება.

**დიაგრამა 31. სოციალური სტატუსისადმი დამოკიდებულების გადანაწილება ბენეტის სკალაზე**




საინტერესო ტენდენციები გამოვლინდა გეოგრაფიული განსახლების მიხედვით განსხვავებულობის (სოფლად და ქალაქად მაცხოვრებლების) მიმართ. კითხვარის დებულებები აღწერს სოფლისა და ქალაქის მაცხოვრებლებს და ახმოვანებს გავრცელებულ სტერეოტიპებს მათ შესახებ. გამოკითხვამ აჩვენა, რომ სტუდენტების დამოკიდებულება ეთნოცენტრიზმისა და ეთნორელატიურობის დონეებს შორის მერყეობს. მაგალითად, ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლების თავისებურებების შესახებ სტერეოტიპებზე სტუდენტების უმრავლესობის დამოკიდებულებები ეთნორელატიურ დონეს აღწევს. პასუხების განაწილება ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

## ცხრილი 15. განაწილება დებულებებზე გეოგრაფიული განსახლების მიხედვით განსხვავებულობის შესახებ

| თავი 13 | აბსოლუტურად არ ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ნაწილობრივ ვეთანხმები | ვეთანხმები | აბსოლუტურად ვეთანხმები |
|---|---|---|---|---|---|
| ქალაქელებს დაკარგული აქვთ ქართველობა, არც სტუმარი იციან და არც- მასპინძელი. | **11.0** | **49.9** | **31.8** | **3.4** | **3.9** |
| ქალაქელები არ კადრულობენ სოფლელებთან ურთიერთობას. | **9.9** | **44.2** | **35.8** | **7.6** | **2.5** |
| თავს თანაბრად კომფორტულად ვგრძნობ როგორც ქალაქელებთან, ასევე სოფლის მცხოვრებლებთან ურთიერთობისას. | **2.0** | **2.8** | **15.8** | **50.7** | **28.7** |
| სხვადასხვა კუთხური დიალექტი ქართული კულტურის სიმდიდრეა და ამიტომ უნდა შენარჩუნდეს. | **1.1** | **3.7** | **16.1** | **49** | **30.1** |
| მიმაჩნია, რომ ერთი და იმავე კუთხის ადამიანები უფრო მყარ ოჯახს ქმნიან. | **1.7** | **38.0** | **34.6** | **17.2** | **8.5** |
| ქალაქელები სოფლის მაცხოვრებლებზე უფრო პრივილეგირებულები არიან. | **11.0** | **35.2** | **30.7** | **16.9** | **6.2** |
| სხვადასხვა კუთხის ხალხზე გავრცელებული ანეკდოტები თითქმის ყოველთვის სინამდვილეს ასახავს. | **1.1** | **10.1** | **56.6** | **25.9** | **6.2** |
| ყველა საკუთარ კუთხეში უნდა ცხოვრობდეს, რადგან ყველაზე კომფორტულად იქ იგრძნობს თავს. | **4.5** | **40** | **33.5** | **14.9** | **7.0** |
| თავს თანაბრად კომფორტულად ვგრძნობ ნებისმიერი კუთხის ხალხთან ყოველდღიური ურთიერთობისას. | **1.1** | **6.5** | **27.3** | **51** | **14.1** |

კითხვარის ბოლო სექცია სექსუალური ორიენტაციის მიხედვით განსხვავებულობას ეხება. ამ წყაროსთან მიმართებით ყველა დებულების პასუხი, რომელიც უკავშირდება განსხვავებულ სექსუალურ ორიენტაციას, ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ეთნოცენტრიზმით.

აღსანიშნავია ამავე დროს, რომ დებულებას - „ყველა ადამიანი, მიუხედავად მისი სექსუალური ორიენტაციისა თანასწორი და თავისუფალია“ - სტუდენტების 78.6 % სხვადასხვა ინტენსივობით ეთანხმება.

**ცხრილი 16. განაწილება დებულებებზე სექსუალური ორინეტაციის მიხედვით განსხვავებულობის შესახებ**

| თავი 14 | აბსოლუტურად არ ეთნახმება | არ ეთანხმება | ნაწილობრივ ეთანხმება | ეთანხმება | აბსოლუტურად ეთანხმება |
|---|---|---|---|---|---|
| განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებთან ურთიერთობისას თავს კომფორტულად ვგრძნობ. | **25.9** | **49.6** | **16.1** | **7.9** | **0.6** |
| მიმაჩნია, რომ განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება უნდა იყოს. | **13.2** | **46.8** | **18.3** | **10.7** | **11.0** |
| განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები საფრთხეს წარმაოდგენენ ქვეყნისა და ადამიანებისათვის. | **5.4** | **21.7** | **36.1** | **22.0** | **14.9** |
| ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორია, მიუხედავად მისი სექსუალური ირიენტაციისა. | **6.5** | **14.9** | **31.5** | **34.4** | **12.7** |
| განსხვავებულ სექსუალური ორიენტაციის ადამიანებთან მუშაობა გამიჭირდება. | **4.8** | **25.1** | **29.6** | **22.0** | **18.6** |

ამ წყაროსთან მიმართებით საინტერესოა იმ დებულების განხილვა, რომლის მიმართაც სხვა დებულებებისგან განსხვავებით, სტუდენტების ნაკლები რაოდენობა ამჟღავნებს ეთნოცენტრულ დამოკიდებულებას. სტუდენტების 60% ამ დებულებას არ ეთანხმება, აქედან 13,2% მას კატეგორიულად არ ეთანხმება. რეალურად, გარდა დეკლარაციული დებულებისა ადამიანთა თანასწორობის შესახებ სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, დიაგრამაში მოცემული დებულება ერთადერთია, რომელსაც სტუდენტების დიდი უმრავლესობა არ ეთანხმება.

**დიაგრამა 32. განაწილება დებულებაზე: „მიმაჩნია, რომ განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება უნდა იყოს“**




ამრიგად, კულტურული იდენტობის სხვადასხვა წყაროსთან მიმართებით სტუდენტთა არაერთგაროვანი დამოკიდებულება საკმაოდ მკაფიოა. მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გათვალისწინებაც, რომელიც დამოკიდებულებების რანჟირების პრინციპებს ითვალისწინებს და სტუდენტების დამოკიდებულების სიღმისეული ანალიზის საფუძველს იძლევა. გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც სტუდენტების დამოკიდებულების ანალიზს მოიცავს თითოეულ წყაროსთან მიმართებ-ით და ბენეტის სკალაზე მგძნობელობის გადანაწილებით, საინტერესოა შედეგების იმ ფაქტორებთან შედარებითი ანალიზი, რომლებიც ვვარაუდობთ, რომ ზემოქმედებას უნდა ახდენდეს სტუდენტების დამოკიდებულებებზე. შესაბამისად, გამოკითხვა რამდენიმე ჭრილშია გაანალიზებული; იგი მოიცავს უნივერსიტეტების მიხედვით სტუდენტთა გადანაწილებას და უნივერსიტეტის შესაძლო გავლენას მათ დამოკიდებულებებზე, ასევე სტუდენტთა სწავლის საფეხურს.

სტუდენტების, როგორც მომავალი პედაგოგების მულტიკულტურული პერსპექტივები ასევეა შედარებული მოქმედი მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებთან, რაც, ერთი მხრივ, პოტენციურ ცვლილებებზე განათლების სისტემაში, ხოლო მეორე მხრივ კი, განათლების პროგრამებისა და მასწავლებლების მომზადების პროგრამების შესახებ გვაძლევს ინფორმაციასა და დასკვნების გაკეთების საშუალებას.

## სტუდენტების გამოკითხვის შედეგებისას განაწილება უნივერსიტეტების მიხედვით.

გამოკითხვის შედეგები აგრეთვე გაანალიზდა საკვლევი უნივერსიტე-ტების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სტუდენტების მულტიკულტურული სენსიტიურობის მაჩვენებლებს ბენეტის სკალის მიხედვით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოკითხვის შედეგად არ დაფიქსირებულა. არც ეთნოცენტრულობის ყველაზე დაბალი დონე, ასევე არც ეთნორელატიურობის ყველაზე მაღალი დონე: სტუდენტების სენსიტიურობა მერყეობს თავდაცვისა და მიმღებლობის დონეებს შორის. სტუდენტების დამოკიდებულებები გავაანალიზეთ თითოეული უნივერსიტეტის მიხედვით. კვლევამ გვაჩვენა, რომ მიმღებლობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი თბილისის ივანე ჯავა-ხიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერისტეტის სტუდენტებს (66.7%) აქვთ. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სტუდენტების უმეტესობა (85.7%) მინიმიზაციის დონეზე იმყოფება. აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაცვის დონე დაფიქსირდა გორის სასწავლო უნივერსიტეტში და მისი პროცენტული მაჩვენებელი არის ძალიან დაბალი (1.9%). იხილეთ ცხრილი 17:

**ცხრილი 17. განაწილება ბენეტის სკალაზე უნივერსიტეტების მიხედვით**

| უნივერსიტეტები | თავდაცვა | მინიმიზაცია | მიმღებლობა |
|---|---|---|---|
| თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 0.0 | 33.3 | 66.7 |
| სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 0.0 | 58.3 | 41.7 |
| ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 0.0 | 68.8 | 31.2 |
| ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 0.0 | 55.4 | 44.6 |
| თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 0.0 | 85.7 | 14.3 |
| გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | 1.9 | 75.5 | 22.6 |

გამოკითხვის შედეგები გავაანალიზეთ აგრეთვე სტუდენტების სწავლის საფეხურების მიხედვითაც. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნათლად ჩანს, რომ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები ავლენენ უფრო მაღალ ინტერკულტურული სენსიტიურობის დონეს, ვიდრე ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები საერთოდ არ იმყოფებიან თავდაცვის საფეხურზე, მაშინ როცა ბაკალავრიატის სტუდენტებს აქვთ უმნიშვნელო მაჩვენებელი თავდაცვის დონეზე.

**ცხრილი 18. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების გამოკითხვის შედეგების შედარება**

| ხარისხი | თავდაცვა | მინიმიზაცია | მიმღებლობა |
|---|---|---|---|
| **ბაკალავრი** | **0.3** | **67.0** | **32.7** |
| **მაგისტრი** | **0.0** | **36.4** | **63.6** |

გამოკითხვის შედეგებისა და თითოეული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შედარების შედეგად გამოვლინდა, რომ მათ შორის არ არსებობს მკვეთრად გამოხატული პოზიტიური კორელაცია. შეუძლებელია კავშირის პოვნა კონკრეტული უნივერსიტეტების სტუდენტების მულტიკულტურულ სენსიტიურობასა და იმ უნივერსიტეტების განათლების პროგრამებს შორის, რომლებიც სტუდენტებს მრავალფეროვან გარემოში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას სთავაზობენ. დაფიქსირდა ტენდენცია, რომ იმ უნივერსიტეტების სტუდენტები, რომლებსაც პროგრამაში აქვთ მულტიკულტურული განათლების არჩევითი კურსი, ავლენენ მულტიკულტურალიზმის უფრო მაღალ დონეს. ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტებში არის ნაკლები ეთნოცენტრულობის ტენდენცია, ვიდრე სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სტუდენტებში. თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ უნივერსიტეტების განათლების პროგრამების სტუდენტების მულტიკულტურული სენსიტიურობაზე გავლენაზე, უნდა გავითვალისწინოთ იმ ქალაქების სოციალურ-კულტურული ფონი, სადაც აღნიშნული უნივერსიტეტები მდებარეობენ. ამ თვალსაზრისით ბათუმი ყველაზე მრავალფეროვანი ქალაქია. აქ საჯარო სკოლები გამოირჩევიან

მოსწავლეების მრავალფეროვნებით სოციალური, ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური თვალსაზრისით. მართებული არ იქნება, მხედველობაში არ მივიღოთ ამ ფაქტორების გავლენა სტუდენტების მულტიკულტურული სენსიტიურობის განვითარებაზე.

## დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგების შედარებითი ანალიზი.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისა და სტუდენტების კითხვარების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ორი კვლევის პასუხების განაწილება ბენეტის სკალაზე აბსოლუტურად ჰომოგენურია. მასწავლებლების მსგავსად, არც სტუდენტები იმყოფებიან მულტიკულტურული სენსიტიურობის უარყოფის საფეხურზე. თუმცა მასწავლებლებისაგან განსხვავებით, სტუდენტებმა ვერ მიაღწიეს ადაპტაციის/ინტეგრაციის საფეხურს. ბენეტის სკალის მიხედვით, მასწავლებლებმა აჩვენეს ადაპტაციის/ინტეგრაციის დონე (0.03 %). მსგავსი შემთხვევა სტუდენტებთან არ დაფიქსირებულა. ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს, რომ სტუდენტები გამოირჩევიან ზოგადად უფრო მეტი სენსიტიურობით განსხვავებულობის მიმართ (ვინაიდან სტუდენტების უფრო მეტი რაოდენობა იმყოფება მიმღებლობის დონეზე), მაშინ როცა უფრო მეტი მასწავლებელი იმყოფება მინიმიზაციის დონეზე.

**დიაგრამა 33. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისა და მასწავლებელთა განათლების პროგრამის სტუდენტების მულტიკულტურული სენსიტიურობის კვლევის შედარებითი ანალიზი**




კულტურული იდენტობის თითოეულ წყაროსთან მიმართებით სტუდენტებისა და მასწავლებლების დამოკიდებულებები მსგავსია.

მიუხედავად ამისა, საჭიროდ ჩავთვალეთ კიდევ ერთხელ შეგვედარებინა მათი გამოკითხვის შედეგები კულტურული იდენტობის იმ წყაროებთან მიმართებით, რომელზეც ორივე საკვლევმა ჯგუფმა აჩვენა ნაკლები მულტიკულტურული სენსიტიურობა.

დიაგრამა ქვევით წარმოგიდგენთ ორივე საკვლევი ჯგუფის დამოკიდებულებების შედარებას სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით. პასუხების განაწილების მიხედვით, მინიმიზაციის საფეხურზე სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა. აღსანიშნავია, რომ ადაპტაციისა და მიმღებლობის საფეხურებზე უფრო მეტი სტუდენტი იმყოფება, ვიდრე მასწავლებელი. თავდაცვის საფეხურზე მასწავლებლების რაოდენობა სჭარბობს სტუდენტებისას, ხოლო უარყოფის საფეხურზე პირიქით.

**დიაგრამა 34. სტუდენტებისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების დამოკიდებულებების შედარება სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით**




სკალაზე სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები რელიგიურ განსხვავებულობასთან დაკავშირებით თითქმის ერთნაირი მაჩვენებლითაა წარმოდგენილი. შედეგებს შორის მცირე განსხვავება შეინიშნება მხოლოდ მინიმიზაციის დონეზე, სადაც მასწავლებლების მაჩვენებელი უფრო მეტია, ვიდრე სტუდენტებისა. თუმცა ეს არ გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ რელიგიურ განსხვავებულობასთან დაკავშირებულ დამოკიდებულებებს შორის განსხვავებაზე.

**დიაგრამა 35. სტუდენტებისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების დამოკიდებულებების შედარება რელიგიურ განსხვავებულობასთან დაკავშირებით**




სექსუალური განსხვავებების დიაგრამა ზემოთ გვიჩვენებს, რომ აღნიშნული კულტურული იდენტობის წყაროს მიმართ მასწავლებლები უფრო ეთნოცენტრულები არიან. მასწავლებლების ეთნოცენტრულობის დონე გამოსახულია 90.6 პროცენტით, ხოლო სტუდენტებისა - 85.3 პროცენტით. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, თავდაცვის საფეხურზე მასწავლებლების მაჩვენებელია 33.4%, ხოლო სტუდენტებისა - 25.6 პროცენტი. განსხვავება სტუდენტებისა და მასწავლებლების პროცენტულ მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანია აგრეთვე მინიმიზაციისა და მიმღებლობის საფეხურებზე. მათ შორის განსხვავება 4-5 პროცენტს შორის მერყეობს.

განსხვავებული ტენდენციები გამოვლინდა მოქალაქეობასთან, საქართველოს მოქალაქეობის მიღების წესებთან და სხვა ქვეყნის მოქალაქეების ვალდებულებებთან დაკავშირებით, რაც მათ საქართველოში უნდა ჰქონდეთ.

**დიაგრამა 36. სტუდენტებისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების დამოკიდებულებების შედარება მოქალაქეობრივ განსხვავებულობასთან დაკავშირებით**




ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სტუდენტებისა და მასწავლებლების კვლევის საინტერესო ტენდენციებს ეთნიკური განსხვავებულობის მიმართ. ეთნორელატიურობის ორ საფეხურზე წარმოდგენილია უფრო მეტი მასწავლებელი, ვიდრე სტუდენტი. თუმცა, განსხვავება არ გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ დამოკიდებულებები ეთნიკური ჯგუფების მიმართ იცვლება პირადი გამოცდილებების გაზრდისა და მრავალფეროვან ინდივიდებთან ურთიერთობების შედეგად. იმდენად რამდენადაც მასწავლებლების მულტიკულტურულ კვლევაში ასაკობრივი ზრდა არ იყო დადებით კორელაციაში ეთნორელატივიზმის საფეხურის ზრდასთან.

**დიაგრამა 37. სტუდენტებისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების დამოკიდებულებების შედარება ეთნიკურ განსხვავებულობასთან დაკავშირებით**



ენობრივი განსხვავებულობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება მიმღებლობის დონეზე ცოტა უფრო მეტად გამოავლინეს სტუდენტებმა, ვიდრე მასწავლებლებმა. საერთო ჯამში, ენობრივი განსხვავებულობის მიმართ მასწავლებლები უფრო მეტად ეთნოცენტრულები არიან, ვიდრე სტუდენტები.

**დიაგრამა 38. სტუდენტებისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების დამოკიდებულებების შედარება ენობრივ განსხვავებულობასთან დაკავშირებით**



# თავი მეხუთე.

# მოქმედ მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამის ანალიზი.

კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებელთა განათლების პროგრამების სტუდენტთა ინტერკულტურული სენსიტიურობის მაჩვენებელი არც ისე მაღალია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი პროგრამები ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებს ინტერკულტურული კომპეტენციებით, ცოდნითა და უნარით, თუ როგორ უნდა მართონ მრავალფეროვანი საკლასო გარემო და განუვითარონ მოსწავლეებს ინტერკულტურული სენსიტიურობა და ტოლერანტობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. შესაბამისად, გამოვიკვლიეთ მოქმედ მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამები იმისათვის, რომ განგვესაზღვრა მოქმედი მასწავლებლების შესაძლებლობები, გაიუმჯობესონ ცოდნა და უნარები მულტიკულტურულ განათლებაში. კვლევა წარმოგიდგენთ მნიშვნელოვან მიგნებებს ამ მიმართულებით:

1) სატრენინგო პროგრამები უმეტესად სახელმწიფოს, კერძოდ, „მასწავლებლის სახლის“ მიერ ხორციელდება. მასწავლებელთა სახლს აქვს მრავალფეროვანი პროგრამები. მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამა ინტერკულტურული განათლების მიმართულებით ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისათვის, რომლებიც მივლინებულნი არიან საქართველოს ეთნიკური უმცირესობებებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. 2010-2013 წლების ინტერკულტურული განათლების ტრენინგში მონაწილეობდა 48 ტრენერ-მასწავლებელი. ტრენინგი ხორციელდებოდა პროექტის - „ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა“ - ფარგლებში. 2011-1013 წლებში ინტერკულტურული განათლების სატრენინგო პროგრამაში (პროექტის - „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ - ფარგლებში) მონაწილეობდა 263 მასწავლებელი. ინტერკულტურული განათლების აღნიშნული სატრენინგო პროგრამა არ იყო ხელმისაწვდომი დანარჩენი მასწავლებლებისათვის.

2) „მასწავლებელთა სახლი“ ახორციელებს ინკლუზიური განათლების სხვადასხვა სატრენინგო პროგრამასაც, აგრეთვე სწავლების მეთოდების სატრენინგო პროგრამას სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისათვის. ეს პროგრამა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებათაგანი. ინკლუზიური განათლების სპეციალური პროგრამა შემუშავებულ იქნა „მასწავლებელთა სახლის“ მიერ. ინკლუზიური განათლების სასწავლო გეგმას სხვადასხვა მოდული აქვს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებიც გადაემზადნენ ინკლუზიური განათლების მიმართულებით 2011-2013 წლებში „მასწავლებელთა სახლის“ მიერ.

**ცხრილი 19. ინკლუზიური განათლების ტრენინგ პროგრამაში მონაწილე მასწავლებელთა რაოდენობა 2011-2013 წლებში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2014**

| | | |
|---|---|---|
| **2011** | **8 სპეციალიზებული სკოლის მასწავლებელი + 15 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა სკოლის მასწავლებელი** | **23 მასწავლებელი** |
| **2012** | **63 სკოლა** | **1189 მასწავლებელი** |
| **2013** | **82 სკოლა** | **1621 მასწავლებელი** |
| **ჯამი** | **168 სკოლა** | **2833 მასწავლებელი** |

3) 2010 წლიდან მოქმედ მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამების რიცხვმა იკლო. 2009 წელს სულ 255 ტრენინგ-პროგრამა შემუშავდა 32 კერძო ორგანიზაციის მიერ, აქედან 172-მა ტრენინგ-პროგრამამ, რომელიც 26 ორგანიზაციის მიერ განხორციელდა, მიიღო აკრედიტაცია (ტაბატაძე, გორგაძე 2014). აკრედიტებული პროგრამები გამოირჩეოდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების მრავალფეროვნებით, როგორიცაა, მაგალითად, ინტერკულტურული განათლების სტრატეგიები, ბილინგვური განათლების სწავლების მეთოდები, ინკლუზიური განათლების მრავალფეროვანი მეთოდები და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის სტრატეგიები. დღესდღეობით მხოლოდ მოქმედ მასწავლებელთა 18 სატრენინგო პროგრამაა დანერგილი 7 ორგანიზაციის მიერ. მოქმედ მასწავლებელთა

სატრენინგო პროგრამა მოიცავს ინკლუზიური განათლების პროგრამას (ასოციაცია „MACI") და პროგრამას სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისათვის (ფსიქომეტრიისა და კონსულტირების ასოციაცია). ფსიქომეტრიისა და კონსულტირების ასოციაციის პროგრამას გააჩნია აგრეთვე ცალკე მოდული ტოლერანტობისა და ინტერკულტურული განათლების შესახებ.

4) მოქმედ მასწავლებელთა (ქართული ენის მასწავლებელი, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი) სატრენინგო პროგრამები არ მოიცავს მულტიკულტურული განათლების სტრატეგიებს. მულტიკულტურული განათლების დამატებითი, კონტრიბუციული, ტრანსფორმაციული და სოციალური ქმედების მიდგომები არ გამოიყენება მოქმედ მასწავლებელთა იმ სატრენინგო პროგრამებში, რომელთაც „მასწავლებელთა სახლი" ახორციელებს.

5) მოქმედ მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამები არაა ხელმისაწვდომი ეთნიკური უმცირესობის სკოლების მასწავლებელთათვის, ამის მიზეზია ენობრივი ბარიერი, „მასწავლებელთა სახლი", ასევე კერძო ორგანიზაციები ტრენინგებს ატარებენ სახელმწიფო ენაზე (ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში კი ძალიან ცოტა მასწავლებელია, რომელიც სახელმწიფო ენაზე საუბრობს). აქედან გამომდინარე, არაქართულენოვან მასწავლებლებს, რომლებიც ასეთ რეგიონებში ცხოვრობენ, არ ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ და ჩაერთონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში. მათ აკლიათ პროფესიული განვითარება და განიცდიან დისკრიმინაციას, ვინაიდან ვერ მონაწილეობენ მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესშიც.

არსებული სტატისტიკის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების მასწავლებლებს სერტიფიცირების გავლის ნაკლები მოტივაცია და სურვილი აქვთ. სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს არაქართულენოვანი სერტიფიცირებული მასწავლებლების დაბალ მაჩვენებელსაც, -ვინაიდან მათ ვერ შეძლეს ჩაებარებინათ სასერტიფიკაციო გამოცდა. არაქართულენოვან სკოლების რაოდენობრივ მაჩვენებლთან შედარებით სასერტიფიკაციო გამოცდებზე დარეგისტრირებულ მასწავლებელთა რაოდენობა ძალიან მცირეა. აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებელთა

მხოლოდ 5 %-მა შეძლო ჩაებარებინა სასერტიფიკაციო გამოცდა და მოეპოვებინა მასწავლებლის სტატუსი. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს არსებულ პრობლემატიკას სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილე არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებთან დაკავშირებით. 2010-2012 წლებში არაქართულენოვანი სკოლების 7000-მდე მასწავლებლიდან მხოლოდ 13 მასწავლებელმა გაიარა სერტიფიცირება წარმატებით.

**ცხრილი 20. არაქართულენოვანი სკოლების სერტიფიცირებული მასწავლებლები რაიონების მიხედვით 2011-2012 წლები (გარდა ენების მასწავლებლების) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო, 2014**

| ადგილმდებარეობა | 2012 | 2011 | 2010 | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| ახალციხე | 0 | 1 | 0 | 1 |
| გარდაბანი | 1 | 0 | 0 | 1 |
| დმანისი | 1 | 0 | 0 | 1 |
| მარნეული | 0 | 1 | 0 | 1 |
| რუსთავი | 4 | 3 | 1 | 8 |
| წალკა | 1 | 0 | 0 | 1 |
| ახალქალაქი | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნინოწმინდა | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჯამი | 7 | 5 | 1 | 13 |

6) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი სკოლების ბაზაზე ახორციელებს პროფესიული განვითარების პროგრამას. ამ პროგრამაში ჩართულია 206 სკოლა და 1442 მასწავლებელი. არაქართულენოვანი სკოლები და ამ სკოლის მასწავლებლები არ მონაწილეობენ აღნიშნულ პროგრამაში. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან მხოლოდ ქართულენოვან სკოლებს შეუძლიათ ჩაერთონ მასში.

# თავი მეექვსე.
# რეკომენდაციები პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

ინტერკულტურული განათლების სასკოლო პრაქტიკაში რეალიზებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით არის ღონისძიებები გასატარებელი, კერძოდ, საჭიროა:

(ა) მოქმედი მასწავლებლებისთვის ინტერკულტურული მგრძობელობისა და კომპეტენციების განვითარება, მათი აღჭურვა მულტიკულტურული განათლების სტრატეგიების შესახებ ცოდნითა და პრაქტიკაში გამოყენების უნარით;

(ბ) მასწავლებელთა განათლების პროგრამების დახვეწა და გაუმჯობესება მულტიკულტურული განათლების თვალსაზრისით საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები როგორც გადაწყვეტილების მიმღებთათვის, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. რეკომენდაციების პაკეტი ჩაშლილია ორ დონედ: (ა) პოლიტიკის დონე; (ბ) ინსტიტუციური დონე.

**პოლიტიკის რეკომენდაციები.**

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელთა განათლების, პროფესიაში შესვლის, პროფესიული განვითარების, მასწავლებელთა შეფასებისა და კარიერული ზრდის მიმართულებით განხორციელდეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკის ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს მულტიკულტურული განათლების პრაქტიკულ რეალიზაციას, კერძოდ:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა მასწავლებლის ახალი სტანდარტი, სადაც ყველა კატეგორიის მასწავლებლისთვის ხაზგასმულია მულტიკულტურული განათლების კომპეტენციებისა

და სტრატეგიების ცოდნისა და პრაქტიკაში გამოყენების აუცილებლობა. შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მასწავლებლების განათლების, უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების ახალი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში უნდა დანერგოს სპეციალური კრიტერიუმები, რომელიც დაადგენს ამ კუთხით პროგრამის ხარისხს. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებელთა განათლების პროგრამებში უმაღლეს სასწავლებლებს მულტიკულტურული განათლების მიმართულებით კომპეტენციების განვითარება არა აქვთ ჩადებული არც პროგრამის მიზნებსა და შედეგებში, არც სასწავლო თუ პრაქტიკის კომპონენტის სავალდებულო ნაწილად;

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემა. შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრმა მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის პროცესში უნდა დანერგოს სპეციალური კრიტერიუმი, რომელიც შეაფასებს როგორც პროფესიულ უნარებს, ასევე საგნობრივ პროგრამებში მულტიკულტურული განათლების ასპექტებს და დაადგენს პროგრამის ხარისხს ამ მიმართულებით;

- მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების დეცენტრალიზაცია და შესაბამისად დივერსიფიკაცია. მნიშვნელოვანია ამ პროგრამების განხორციელებაში კერძო პროვაიდერების აქტიურად ჩართვა და მათი თანაბარ პირობებში ჩაყენება სახელმწიფო პროვაიდერთან. კვლევამ აჩვენა, რომ დეცენტრალიზაციის პირობებში გაცილებით მრავალფეროვანი პროფესიული განვითარების პროგრამა იყო ხელმისაწვდომი მასწავლებლებისთვის, მათ შორის ინტერკულტურული, ბილინგვური და ინკლუზიური განათლების მიმართულებით. ამ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა მკვეთრად შემცირდა „მასწავლებელთა სახლის" ცენტრალიზებული სისტემის ამოქმედების შემდეგ;

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი სქემის შემუშავების კვალდაკვალ მნიშვნელოვანია

მასწავლებელთა შეფასების სისტემაში (როგორც ცენტრალურ, ისე სასკოლო დონეზე) მულტიკულტურული ასპექტების ასახვა და შეფასების კრიტერიუმებისა და მექანიზმების შემუშავება;

- მასწავლებელთა შეფასების, პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის სისტემაში, მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, უნდა ჩაიდოს მასწავლებლის მიერ საკლასო ოთახში მრავალფეროვნების მართვის სტრატეგიების ცოდნის და პრაქტიკაში გამოყენების შემოწმების მექანიზმები. ეს ფაქტორი უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის სტანდარტში ჩადებული მოთხოვნების პრაქტიკული რეალიზებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სტანდარტში არსებული დებულებები, შესაძლებელია, არ აისახოს მასწავლებელთა საქმიანობაში და ინტერკულტურული ასპექტების თვალსაზრისით სასკოლო დონეზე კვლავ მძიმე ვითარება დარჩეს, როგორც დღეს არის (ამ ვითარებას ადასტურებს ინტერკულტურული ასპექტების სხვადასხვა კვლევა სასკოლო დონეზე).
- მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკული სასწავლო ტურები (როგორიცაა მასწავლებელთა მიერ ინტერკულტურულ და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა) შევიდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პორტფოლიოსა და შეფასების სისტემაში. მსგავსი პროგრამები, უმნიშვნელოვანესია, როგორც ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების, ისე სასწავლო პრაქტიკაში მულტიკულტურული სტრატეგიების გამოყენების თვალსაზრისით.
- მნიშვნელოვანია არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების, კარიერული ზრდისა და შეფასების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რათა ამ სკოლის მასწავლებლები არ აღმოჩდნენ ახალი რეფორმის მიღმა. აღნიშნული მნიშვნელოვანია 2008-2013 წლების პრაქტიკის გათვალისწინებით. კვლევამ აჩვენა, რომ არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები რეფორმის მიღმა აღმოჩნდნენ როგორც სერტიფიცირების, ისე პროფესიული განვითარების მიმართულებით, აგრეთვე სასკოლო დონეზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხრივაც;

## ინსტიტუციური დონე/მასწავლებელთა განათლება უმაღლეს სასწავლებლებში.

